ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 18 იანვარი, 2022 | №12 (8790) | ფასი: 60 თეთრი

გვ.5

ნარკოდანაშაულისთვის 3 პირი დააკავეს

„ეს ადგენს საშიშ პრეცედენტს“

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საქალაქო სასამართლოს წინააღმდეგ

გვ.5

„ივანიშვილს ასეთი ცინიკოსი კობახიძე სჭირდება პარტიაში“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართულ ოცნებაში“ ერთ კაცსაც ვერ ნახავთ, ვინც კობახიძეს იცავს“

გვ.3

„ენერგომაფიოზ კალაძეს ქუცნაშვილების ოჯახიც დაემატა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „მერებს ხელფასები ასჯერ უფრო გაეზარდათ, ვიდრე პენსიონერებს პენსია“

„თურქეთის ბაზრის გახსნას დადებითად მივიჩნევ, მაგრამ მთავარი წამლის ფასი არ არის“

გვ.3

სერგო ჩიხლაძე: „წამლების ხარისხის კონტროლი პრობლემა იყო და არის, ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გვინახავს, მხოლოდ გვესმის, რომ 6 თვეში და 5 თვეში იქნება“

„ქართული ოცნებისთვის“ ნაციონალური მოძრაობა „გრუშაა“



გვ.4

მამუკა გიორგაძე: „არანაირი დასავლეთისკენ არ მივდივართ“

„ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, შეეგუება კომუნისტური ცხოვრების წესს თუ მოახდენს ცვლილებებს“

ირაკლი ღარიბაშვილი: „მილიონ ადამიანს დავუსუბსიდირებთ ელექტროენერგიის ტარიფის ნაზარდს“

გვ.2

„თურქეთიდან შემოვა მაღალი ხარისხის წამლები“

ISSN 1987-9385

5 „ეს იყო უბედური შემთხვევა“
ჯანდაცვის მინისტრის ამ განცხადებას დევნილთა პროტესტი მოჰყვა

5 ნონა ჭაბაშვილის მკვლელობისთვის დაკავებულ გიორგი ბარბაქაძეს ბრალი წაუყენეს

4 ირაკლი ლექვინაძე: „იაფი წამალი არ ნიშნავს უხარისხოს“

5 „ტუჩი მაქვს გახეთქილი, ყურიდან სისხლი წამომივიდა“
ქუთაისში პირსინგის გამო ბრიტანეთის მოქალაქეს სცემეს

„ივანიშვილს ასეთი ცინიკოსი კობახიძე სჭირდება პარტიაში“

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართულ ოცნებაში“ ერთ კაცსაც ვერ ნახავთ, ვინც კობახიძეს იცავს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტ-კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, ბოლო პერიოდია ვისმენთ შეფასებებს, რომ საშინაო თუ საგარეო ფლანგზე ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი რამ ხდება და ჩვენი ხელისუფლება მიზანმიმართულად თუ უცოდინრობის გამო ამ ყველაფერს გვერდს უვლისო. ვხედავთ, რა პროცესებიც მიმდინარეობს ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. რას იტყვით თქვენ? როგორ აფასებთ შექმნილ სიტუაციას?

– დღეს რუსეთი არის კრიზისში. აშკარად ჩანს, რომ დემოკრატია იმარჯვებს. ნატო კი არ იმარჯვებს და ევროკავშირი, იმარჯვებს დემოკრატია. რუსეთი ნერვიულობს იმაზე, რომ მთავარი არ არის ნატოში გაწევრიანება, ამ ქვეყნებში ნელ-ნელა ისედაც შემოდის დემოკრატია. აი ამაზე ნერვიულობს როგორც უკრაინის, ისე საქართველოს მიმართულებით. ხოლო ის, რაც ყაზახეთში მოხდა, ეს საერთოდ გამაოგნებელი იყო რუსეთისთვის. მართალია, იქ დემოკრატიას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ იქ რუსეთს ანგარიში არ გაუწიეს, ისე დაიწყო პროცესები. გარკვეულწილად რუსეთი იქ აღმოჩნდა შევიწროებული. ის, რაც მოხდა ყაზახეთში, შესაძლოა, ეს სიტუაცია საქართველოს დაუდგეს 15 წლის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ მანამდე არაფერი არ შეიცვალა. თუ არჩევნებით არ შეიცვალა „ქართული ოცნება“, ივანიშვილს ელის იგივე ბედი, რაც ნაზარბაევს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნაზარბაევმა უფრო მეტი გაუკეთა ყაზახ ხალხს, ვიდრე ივანიშვილმა. ის, რაც ყაზახეთში მოხდა, ჩვენ ეს შევარდნაძის მმართველობის დასასრულს გავიარეთ უკვე და თუ ივანიშვილმა არჩევნების გზით წასვლა არ მოინდომა, მაშინ მეორე წრეზე წავალთ.

– რა ხდება უკრაინასთან მიმართებაში?

– რუსეთმა ნახა, რომ ყაზახეთი არის ერთი, ხოლო საქართველო და უკრაინა გაცილებით დემოკრატიული ქვეყნებია. ნატოც ეძებს დემოკრატიას. თუ უკრაინა და საქართველო გახდებიან სრულად დემოკრატიულები, ისინი, ადრე თუ გვიან, გახდებიან დემოკრატიულები. ამიტომ რუსეთმა დაიწყო ულტიმატუმებით ლაპარაკი, ხოლო ულტიმატუმის ენით ლაპარაკი უკვე სისუსტის ნიშანია. მან მოუწოდა ნატოს, რომ უარი ეთქვა თავის ფუნდამენტურ მოვალეობაზე, გაფართოებაზე. ეს იგივეა, რუსეთს უთხრას ვინმემ, რომ რუსული ენით არ მართოს სახელმწიფო.

– ანუ, ამ ულტიმატუმით რუსეთმა, პირიქით, სისუსტე გამოამჟღავნა?

– რა თქმა უნდა. ულტიმატუმი სისუსტის ნიშანია ზოგადად. იმიტომ, რომ სხვა გზა არ დარჩენია. რუსეთმა ძალიან მაღლა ასწია თამასა, ან შეასრულებს ნატო ამას, ან რაღაც

სხვა მოხდება და ეს რაღაც არის ალბათ დონბასში ომი. რომელიც რუსეთს, წესით, არ უნდა აწყობდეს. სხვა რაღაც უნდა დაუთმოს დასავლეთმა რუსეთს.

– კერძოდ, რა?

– მაგალითად, ხელი არ შეუშალოს დასავლეთმა და დასრულდეს ჩრდილოეთ ნაკადი ორი. ასევე დასავლეთმა არ განახორციელოს ეკონომიკური სანქციები, თუ რუსეთი ოფიციალურად შევა დონბასში. დღეს რუსეთი დონბასში არის, მაგრამ არის არაფორმალურად. როგორც აფხაზეთში და ცხინვალშია შესული, ასე არ არის დონბასში შესული. მას უნდა, რომ ახალი რეალობა შეუქმნას უკრაინას დონბასში.

– და შესაძლოა ამაზე ივაჭროს დასავლეთთან?

– მე ასე მგონია. იმიტომ, რომ იმდენად აბსურდული და შეუსრულებელი პირობა დაუყენა დასავლეთს, რომ დასავლეთი ამაზე ვერ წავა. ნატო ვერ წავა იმაზე, რომ უარი თქვას გაფართოებაზე, რუსეთმა ეს მშვენივრად იცის. რადგან რუსეთმა ასეთი შეუსრულებელი პირობა წაუყენა ნატოს, ე.ი. მან რაღაცაზე უნდა გაცვალოს ეს პირობა. ეს კი რა არის? ეს იქნება სანქციების არ დაწესება, თუ ჯარებს შეიყვანს დონბასში. მე ასე ვუყურებ ამ საკითხს, რომ რუსეთი ვაჭრობს, გაცვალოს ნატო, მის შესვლაზე დონბასში და ამის გამო არ მიიღოს სანქციები, ისევე, როგორც არ მიიღო აფხაზეთის და ცხინვალის დაკავების შემთხვევაში. მას უნდა, რომ რაც უნდა ის აკეთოს და ეს ყველაფერი გაცვალოს ერთ რამეში, ნატოს სიტყვიერ განცხადებაში, რომ ოდესღაც მიიღებს საქართველოს და უკრაინას. ოღონდ ეს უნდა დარჩეს განცხადების დონეზე. რა, „ქართულ ოცნებას“ უნდა ნატოში გაწევრიანება და თავს იკლავს ამისთვის? არა.

– საერთოდ რა უნდა ხელისუფლებას, რატომ დუმს, რატომ არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას? დიდად არც ოპოზიციას გამოუჩენია თავი. რა ხდება?

– ოპოზიცია სააკაშვილითაა დაკავებული, სხვა რამ საერთოდ არ აინტერესებს. ხელისუფლებას კი მოსწონს, რომ ოპოზიცია მხოლოდ სააკაშვილითაა დაკავებული. ოპოზიციას კი არ უნდა ნატო. დღეს როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მთავარი ამოცანაა, ხელისუფლების ფლობა. მას არ აინტერესებს არც რუსეთი და არც დასავლეთი, თუ მის ძალაუფლებას არავინ ერჩის. ხოლო თუ მის ძალაუფლებას ერჩიან, მაშინ ის იხრება რუსეთისკენ. დღეს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ რუსეთს თავი მოაწონოს. ამიტომაც ის დუმს. ეს კი რუსეთსაც აწყობს. დღეს საქართველო ყველაფერ იმას აკეთებს, რაც რუსეთს უნდა. არ მიისწრაფვის ნატოსაკენ.

– არგაღიზიანების პოლიტიკას მისდევს ჩვენი ხელისუფლება რუსეთთან მიმართებაში?

– არგაღიზიანების პოლიტიკას მისდევს თურქეთიც და აზერბაიჯანიც, მაგრამ ამ პოლიტიკას მათი ქვეყნის საკეთილდღეოდ იყენებენ. მოქმედებენ თავის სასარგებლოდ. არგაღიზიანება თავისთავად ტრაგედია არაა, თუ მას მოყვება მოქმედება. მთელი ჩვენი ტრაგედია არის ის, რომ ქართული არგაღიზიანება, არაფრის ნაწილი არაა. უბრალოდ, ეს არის ძალაუფლების შენარჩუნების ნაწილი. ოღონდ შენ მე ხელი არ მახლო, ოღონდ ეჭვქვეშ არ დააყენო ივანიშვილის ძალაუფლება და მე შენ არ გაგაღიზიანებ. დაახლოებით ასეთი დამოკიდებულება აქვს დღევანდელ ხელისუფლებას.

– შიდა პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით რას იტყვით ბატონო პაატა? გვესმის შეფასებები, რომ მალე პრემიერი შეიცვლებაო, ამასთან დაკავშირებით რა ინფორმაციები გაქვთ? ასევე ბევრს საუბრობენ ღარიბაშვილისა და კობახიძის დაპირისპირების შესახებ. რამდენად გაიმყარა კობახიძემ ისე პოზიციები, რომ პრემიერი ველარ ერევა?

– კობახიძემ რომ გაიმყარა პოზიციები, ზუსტად იმიტომ წამოვიდა იქიდან გახარია. გახარიას შემდეგ კი არსებითად არაფერი შეცვლილა. გახარიამ დაადასტურა კობახიძის გაძლიერება. აღარავის ახსოვს და გუნდიდან მაია ცქიტიშვილიც წავიდა. ასევე გვავიწყდება, რომ წავიდა რეალური ხელისუფლებიდან ასევე ლაშა ნაცვლიშვილი, რომელიც რამდენიმე თვით ადრე იყო „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი. ასევე წავიდა რეალური პოლიტიკიდან ვასიკო მაღლაფერიძე. ესეც 2 თვით ადრე იყო დანიშნული.

– ესენი რატომ წავიდნენ?

– იმ მიზეზით, რა მიზეზითაც გახარია. სწორედ კობახიძის გაძლიერების გამო. კობახიძე დღეს კი არ გაძლიერებულა, სწორედ მაშინ გაძლიერდა. აი სწორედ მაშინ კობახიძემ აიყვანა, მიიღო ივანიშვილის კადრი, ღარიბაშვილი. ამიტომ მე ეჭვი მეპარება, რომ დღეს ღარიბაშვილმა რაიმე პრეტენზიები წაუყენოს კობახიძეს. ღარიბაშვილი ხომ ისედაც ივანიშვილის კაცია, როგორც კობახიძე. თუ ღარიბაშვილი დღეს უპირისპირდება კობახიძეს, ე.ი. ეს ივანიშვილის პოლიტიკის ნაწილია. ცალკე, ღარიბაშვილი პოლიტიკას ვერ წარმართავს.

– კობახიძე იმდენად ხომ არ გაძლიერდა, რომ ივანიშვილისთვისაც საფრთხეს წარმოადგენს?

– არა, ივანიშვილი ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია. კობახიძე იმდენად ძლიერია, რამდენადაც ივანიშვილი აძლევს ამის უფლებას. კობახიძის ასეთი სიძლიერე სრულიად აწყობს ივანიშვილს. ივანიშვილმა, როგორც იქნა, იპოვა ასეთი პოლიტიკოსი. ვერ ნახა ეს ვერც უსუფაშვილში, ვერც ალასანიაში, ვერავისში ვერ ნახა, ვერც გახარიაში. ეძება, ეძება და 2016 წელს იპოვა კობახიძე. ჯერჯერობით უმართლებს კობახიძე. ზედიზედ წარმატებით გაიმარჯვა ორ არჩევნებში, არის უტიფარი და ცინიკოსი, დასცინის ოპოზიციას. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ის მოსწონს ივანიშვილს. აგრესორობასა და უტიფრობაში ბოლო პერიოდია ღარიბაშვილი ბაძავს კობახიძეს. დათა თუთაშხიაში რომ არის, ვირთხებჭამია რომ გამოჰყავთ კასრში, როგორც იქნა, ივანიშვილმა გამოიყვანა პოლიტიკოსების მჭამელი პოლიტიკოსი კობახიძის სახით. ის ბედნიერია ამით. საერთოდ აღარ ერევა საქმეებში. მხოლოდ უთანხმებენ მას. ისიც კითხულობს, ყველა თანახმაა, თუ ყველა თანახმაა, მაშინ გადაწყვიტეთ, როგორც საჭიროა. ის ერევა იმ შემთხვევაში, როცა აზრთა სხვადასხვაობაა. დაახლოებით ასე მართავს სიტუაციას, ოღონდ ყველაფერს მას უთანხმებენ. ის არა მართავს, არამედ ფლობს სიტუაციას.

– გამორიცხავთ კობახიძესა და ღარიბაშვილს შორის არსებულ დაპირისპირებას?

– არ გამოვრიცხავ, უბრალოდ, ამ ეტაპზე ვერ ვხედავ ამას. ვერ ვხედავ ისეთ სიტუაციას, რომ კობახიძეს არ მოსწონდეს ღარიბაშვილი. თუ ვინმეს ვინმე არ მოსწონს, შესაძლოა ივანიშვილს არ მოსწონდეს ვიღაცა. ეს კი სხვა საკითხია. საქმე ისაა, გუნდში კობახიძე არავის არ მოსწონს. ღარიბაშვილი უფრო მოსწონთ, ვიდრე კობახიძე. „ქართულ ოცნებაში“ ჩემი ძველი ნაცნობებიდან ვერც ერთი ვერ ვნახე, ვინც კობახიძეს დაიცავს. როდესაც მას ვაკრიტიკებ, აბსოლუტურად არავინ არ იცავს მას გუნდის შიგნით. აშკარაა, რომ მის მიმართ არის ძალიან დიდი უარყოფითი დამოკიდებულება. ეს ბიძინა ივანიშვილმა ძალიან კარგად იცის და სწორედ ამიტომ ჰყავს კობახიძე. ბიძინასთვის კობახიძის მოძრობაზე იოლი არაფერი არაა. ერთი ადამიანი არ იქნება, ვინც მას დაიცავს. მდინარაძე რომ მდინარაძეა, ისიც კი არ დაიცავს კობახიძეს. აი სწორედ ამიტომ აწყობს ბიძინას ეს ფიგურა. არავის უყვარს კობახიძე, საერთოდ ვერავინ ვერ იტანს მას. ისიც უნდა ითქვას, რომ ღარიბაშვილი უფრო ერთგულია ივანიშვილის, ვიდრე კობახიძე. დღეს ერთადერთი, რაც იცავს კობახიძეს, ეს არის ივანიშვილის ქოლგის ქვეშ დგომა. მთავარია, ერთი თქვას ივანიშვილმა, რომ რაღაც არ მომწონს კობახიძე, მორჩა, მისი საქმე წასულია.

ირაკლი ღარიბაშვილი: „მილიონ ადამიანს დავუსუბსიდირებთ ელექტროენერგიის ტარიფის ნაზარდს“

„თურქეთიდან შემოვა მაღალი ხარისხის წამლები“

– ჩვენი გადაწყვეტილებით, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, დაახლოებით მილიონ ადამიანს, დავუსუბსიდირებთ ელექტროენერგიის ტარიფის ნაზარდს.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს შეეხება მიზნობრივ ჯგუფებს, 150.000 და ნაკლები ქულის მქონე მოსახლეობას, რაც დაახლოებით 1 მილიონ ადამიანს შეადგენს.

– მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული პროგრამა გვქონდა პანდემიის დაწყების დღიდან, გრძელდებოდა 2 წელი, ახლა იანვარში შეწყდა ეს სუბსიდირების პროგრამა და ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული პროგრამა გავაგრძელოთ და მოსახლეობის იმ ფენას, ვინც ყველაზე მეტად გაჭირვებულია, ამ მიზნობრივ ჯგუფებს, დავუსუბსიდიროთ ელექტროენერგიის ნაზარდი. ეს ამოქმედდება იანვრიდან მთელი წლის განმავლობაში, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, მან მოაწერა მთავრობის განკარგულებას ხელი, შესაბამისად, გაიხსნა უკვე თურქეთის ბაზარი და თურქეთიდან შემოვა მაღალი ხარისხის ჯიენპი სტანდარტების შესაბამისი წამლები,

პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ ეს მნიშვნელოვნად და ძალიან სწრაფად გააიაფებს მედიკამენტების ფასებს საქართველოში.

– მოგეხსენებათ, მე ამის თაობაზე ღიად ვისაუბრე, საგრძნობლად დიდია სხვაობა ფასებს შორის. ყველაზე მოთხოვნადი წამლები ჩვენთან თუ ღირს პირობითად 10 ლარი, თურქეთში ღირს ლარი და 2 ლარი. ამიტომ, არავითარი არგუმენტი იმისა,

თუ რატომ არ უნდა ყოფილიყო გახსნილი თურქეთის ბაზარი, არ არსებობს, ვერ მოვისმინე, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ თურქეთის ბაზარი გაგვეხსნა.

იმედი მაქვს, რომ იმპორტიორები, კომპანიები შემოიტანენ მაღალი ხარისხის წამლებს თურქეთიდან, რაც მნიშვნელოვნად, ძალიან სწრაფად გააიაფებს მედიკამენტების ფასებს საქართველოში, – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

მისივე თქმით, ფასების მონიტორინგის მნიშვნელობასთან ერთად, მოსახლეობას უნდა მიეწოდოს ხარისხიანი მედიკამენტი და ეს არის №1 მოთხოვნა.

– რაც მთავარია, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, მედიკამენტებზე ფასების მონიტორინგი, რეგულირებას არ ვიტყოდი ამ ეტაპზე და მეორე მხრივ – ხარისხის კონტროლი, რაც არის აუცილებელი. ხარისხიანი მედიკამენტი უნდა მიეწოდოს ჩვენს მოსახლეობას, ეს არის ჩვენი №1 მოთხოვნა. ჩვენ ახლა დავიწყებთ აქტიურად მუშაობას, ბატონი მინისტრი, ზურაბ აზარაშვილი დაიწყებს ამ თემაზე მუშაობას და უახლოეს რამდენიმე კვირაში გვექნება შედეგები“ – აღნიშნა პრემიერმა.

მანვე აღნიშნა, რომ 2012 წელთან შედარებით ღვინის ექსპორტი 360 პროცენტით არის გაზრდილი.

– მინდა რამდენიმე შედარებითი მაგალითი მოვიყვანო – 2012 წელთან შედარებით ღვინის ექსპორტი 360 პროცენტით არის გაზრდილი. ასევე 2012 წელს, ექსპორტით მიღებული შემოსავალი თუ იყო 71 მილიონი დოლარი, შარშან იყო 250 მილიონი ამერიკული დოლარი. ამხელა სხვაობაა ამ 8-9 წელიწადში, რაც რეკორდული მაჩვენებელია.

ასევე, საანგარიშო პერიოდში, ექსპორტირებულია 42 მილიონი ბოთლი ბრენდი, რაც 30%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს და 550%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 78 მილიონ დოლარს შეადგენს. შედარებისთვის, 2012 წელს ეს იყო მხოლოდ 20 მილიონი დოლარი, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, 441 ქართული კომპანია ახორციელებს ღვინის ექსპორტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეფერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ენერგომაფიოზ კალაძეს ქუცნაშვილების ოჯახიც დაემატა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „მერებს ხელფასები ასჯერ უფრო გაეზარდათ, ვიდრე პენსიონერებს პენსია“

ნათია ხურცილავა

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლება სოციალური მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმას აპირებს. პრემიერის განცხადებით, მილიონი ადამიანის მოხმარებული ელექტროენერგიის სუბსიდირებას მოახდენს სახელმწიფო. ასევე, თურქეთიდან შემოიტანს წამლებს და ამ ბაზარს გააიაფებს. თქვენ რითი ხსნით ამ ინიციატივებს?

– ამ ხელისუფლებას მოსახლეობა რომ არაფრად უღირს, ეს არაერთხელ დაუდასტურებია. მათი დამოკიდებულება ადამიანებისადმი თუნდაც იმ ფაქტიდან ჩანს, რომელიც სანატორიუმ „ქართლში“ მოხდა.

რაც შეეხება სოციალური მიმართულებით ნახევარ ნაბიჯებს, ნახევარ ზომებს, არ გამოვრიცხავ, სწორედ ხალხის ბუნტის შიშითაც იყოს ნაკარნახევი. ისინი ახლა ცდილობენ, საზოგადოების სამართლიანი აგრესია როგორმე შეამსუბუქონ. ტოტალური შიმშილის, ტოტალური კოვიდგენოციდის, ტოტალური ინფლაციის ფონზე ხელისუფლება, რომელიც მილიარდებს აკეთებს ამ ხალხის ხარჯზე, მხოლოდ თავად მდიდრდება და იძულებულია, რაღაც მოიმოქმედოს.

მერებად, საკრებულოს თავმჯდომარეებად დანიშნულებმა და კიდევ სხვებმა, პირველი, რაც გააკეთეს, ხელფასების გაზრდა იყო. ურცხვად გაიზარდეს, გაიორმაგეს 7-8 ათასი დოლარი გაიხადეს, მაშინ როდესაც, პენსიონერებზე 20 ლარზე მეტი ვერ გაიმეტეს. ოფიციალურად მერებს ხელფასები ასჯერ უფრო გაეზარდათ, ვიდრე პენსიონერებს პენსია. ასეთ ხალხზეა საუბარი და ასეთ დამოკიდებულებაზე. სად ჩანს აქ ადამიანზე ზრუნვა?! აქ მხოლოდ საკუთარ თავზე და საკუთარ სკამებზე ზრუნვა ჩანს.

– მედიკამენტებთან დაკავშირებით უფრო კონკრეტულად მინდა გკითხოთ.

– ძალიან საეჭვო წინადადებაა. რატომ მხოლოდ თურქული მედიკამენტები?! რატომ არა ევროპული მედიკამენტები?! ამაზე რა პასუხი აქვს ხელისუფლებას?!

– თქვენ რას უკავშირებთ?

– კორუფციასთან დაკავშირებულ ეჭვებს აღძრავს. რატომ მხოლოდ 200 მედიკამენტი?! რატომ არ შეიძლება საერთოდ ამ ბაზრის დემონოპოლიზაცია?! რატომ არის საერთოდ ეს ბაზარი ასე ხელშეუხებელი?! რა პასუხები აქვს ხელისუფლებას საზოგადოების ამ კითხვებზე?!

საქართველოში 30 წელია ყველა სფეროში მონოპოლიაა. ამაში, პირველ რიგში, სახელმწიფოა დამნაშავე. როგორც ჩანს, ყველა ხელისუფლებას აწყობს მონოპოლიური მდგომარეობა, რადგან ისინი არაფერს არ აკეთებენ მონოპოლიების წინააღმდეგ, გამოდის, წილში არიან. სხვა დასკვნის საფუძველი, უბრალოდ, არ რჩება. წამლის ბაზარმა დაადასტურა, რომ ხელოვნური ბარიერები არსებობს და წამლის ბაზარი საქართველოში დიდი კორუფციული სქემის შედეგია. ფარმაცევტული მაგნატები, როგორც ჩანს, ყველა დროში ხელშეუხებლები არიან. ხელშეუხებელია მათი ბიზნესი. ეს მდგომარეობა ქვეყნისთვის კატასტროფაა, რადგან ამ ბაზარს ადამიანების სიცოცხლე უკავშირდება.

საქართველოში რამდენიმე მთავარი ბიზნესმაფია არსებობს: ენერგომაფია, ფარმამაფია, საწვავის მაფია, საკვები პროდუქტებისა და სათამაშო ბიზნესის მაფია. არც ერთი მათგანი არ ექვემდებარება არავითარ კონტროლს. ყველა ქვეყანასთან შედარებით, ეს ბიზნესები საქართველოში თავიანთ პროდუქტს არათუ გაორმაგებული, გაათმაგებული ფასებით აწვდიან მომხმარებელს. თუნდაც ბანკები რომ მოვიყვანო მაგალითად, საბანკო კრედიტები საქართველოში როგორია და როგორია თუნდაც ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში.

პრემიერს მინდა გამოვეხმაურო, ხომ გვიმტკიცებდნენ, ელექტროენერგიის გადასახადი არ გაძვირებულაო, თუ არ გაძვირებულა, რის სუბსიდირებას ახდენენ?! ენერგეტიკის სფეროში საქართველოში 30 წელია მაფია მოქმედებს. ყველაზე უმსხვილესი მაფიაა. ეს ფაქტია. ყველა დროის ენერგომაფიოზი ჰყავს შემოკრებილი ამ ხელისუფლებას. მათ კალაძე დაემატათ ქუცნაშვილების ოჯახთან ერთად. ამიტომაც, სულაც არ არის გასაკვირი, გაორმაგებული ძალებით რომ ხდება ხალხის ძარცვა. რა თქმა უნდა, პრემიერის დღევანდელმა ბრიფინგმა დაადასტურა, რომ პირველი თებერვლიდან ელექტროენერგიის ტარიფი ქვეყანაში ძვირდება. გაორმაგებული გადასახადები მიუვა ხალხს. მოსახლეობის სამ მეოთხედს გადასახადი გაუძვირდება. ჩვენ ვითხოვთ, დოტაცია შენარჩუნდეს იმ ფორმით, როგორც აქამდე იყო. ხალხი თავად ნახავს, როგორი მძიმედ დააწვება ეს გადასახადი სხვა გადასახადებთან ერთად.

– სოციალურად დატვირთული მოსახლეობა შეიძლება ქუჩაში გამოვიდეს?

– უკვე ქუჩაშია ხალხი გამოსული, უბრალოდ, ამას არ იმჩნევს ხელისუფლება. ის ტრაგედია, რომელიც სანატორიუმ „ქართლში“ დატრიალდა დევნილების თავს, ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა იყოს ნებისმიერი ხელისუფლებისთვის, მაგრამ არ იმჩნევენ.

ხელისუფლების კონკრეტულ პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა 52 წლის ზურაბ ჭიჭოშვილის გარდაცვალებაში. ამ რეჟიმის კონკრეტულმა მაღალჩინოსნებმა მიიყვანეს ეს ადამიანი თვითმკვლელობამდე, ისევე, როგორც 40 წლის ნანა ფიფია, რომელმაც თავი სახალხოდ დაიწვა. ვინმემ აგო ამ ფაქტზე პასუხი?! რა თქმა უნდა, არავინ. არც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არავის უგია პასუხი.

ასეთ ფაქტებს, თავის დროზე, დავით ფაცაცია აპროტესტებდა. დღეს, გამოდის, თვითონ არის ამაზე პასუხისმგებელი. რატომ არ გამოდის და რატომ არაფერს ამბობს ამ ფაქტზე?! ამიტომ, ჩინოვნიკებზე დამოკიდებული საზოგადოება ასეთი ტრაგედიების მსხვერპლი იქნება. მხოლოდ სოლიდარობა და ერთმანეთის მხარდაჭერა გამოგვიყვანს ამ კატასტროფიდან.

„თურქეთის ბაზრის გახსნას დადებითად მივიჩნევ, მაგრამ მთავარი წამლის ფასი არ არის“

სერგო ჩიხლაძე: „წამლების ხარისხის კონტროლი პრობლემა იყო და არის, ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გვინახავს, მხოლოდ გვესმის, რომ 6 თვეში და 5 თვეში იქნება“

იაგო ნაცვლიშვილი

ტრაგედია მოხდა კვირას თბილისში, როდესაც ზღვის უბანში, დევნილთა დასახლებაში მცხოვრებმა მამაკაცმა თავი მოიკლა. იქამდე ამ კორპუსში მცხოვრები ადამიანები აცხადებდნენ, რომ გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდნენ და ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის საკითხთა მინისტრთან შეხვედრას ითხოვდნენ, თუმცა მინისტრი მათ არ შეხვდა. სწორედ აღნიშნულ გაუსაძლის პირობებს უკავშირებენ მისი ახლობლები მომხდარ ტრაგედიას.

რატომ არის სოციალური პოლიტიკა უკანა პლანზე გადაწეული? რამდენად რეალურია წამლებზე ფასის გაიაფება და ხომ არ გამოიწვევს ეს ხარისხის შემცირებასაც? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი **სერგო ჩიხლაძე** საუბრობს.

– რატომ არ არის ქვეყანაში პრიორიტეტული სოციალური პოლიტიკა? ამის გამოძახილი იყო ის ტრაგედიაც, რაც მოხდა ზღვის უბანში დევნილთა დასახლებაში? რატომ არის უკანა პლანზე სოციალური საკითხები?

– ეს ტრაგედია, რაც დატრიალდა, მეტყველებს, რომ სოციალური პოლიტიკა არა თუ პრიორიტეტული არ არის, არამედ არც აინტერესებს სახელმწიფოს. უფრო მეტიც, არც აქვს. ასეთი პოლიტიკა არ არსებობს. პოლიტიკაა რაღაცა მწყობრი გეგმა, როგორ განახორციელო რაღაცა. რა ნაბიჯს რა მოსდევს, ვადებში გაწერილი და ა. შ., რამდენ ბენეფიციარს მოიცავს და სხვა, ეს უნდა იყოს წლების მანძილზე გაწერილი. ასეთი პოლიტიკა არ აქვს საქართველოს მთავრობას და, შესაბამისად, ჯანდაცვის, შრომის და სოციალურ საკითხთა სამინისტროს არ გააჩნია.

მას ეს ადამიანები არ აინტერესებს. დავინახეთ, რომ ადამიანები კვირების განმავლობაში ითხოვდნენ შეხვედრას, რომლებიც გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდნენ. მინისტრი არც კი შეხვდა. ეს არის ადამიანების და პრობლემის სრული იგნორი. სურვილიც კი არ აქვთ, რომ თუნდაც რაიმე ნაბიჯები გადაიდგას. ასეთი მიდგომა წლებია გრძელდება. იგივე ბინების გადაცემა მიზერულია, მაშინ როდესაც, 40.000 ოჯახს არ აქვს საცხოვრებელი. არადა, პირველი დევნილთა ნაკადიდან 30 წელი გავიდა. ყველაფერი მორგებულია ხოლმე წინასაარჩევნო ციკლებს, რომ აი წინასაარჩევნო პერიოდში რამდენიმე ოჯახს გადასცეს ბინები. ან რამდენიმე ათას ოჯახს დაურიგეს რაღაცა პაკეტი.

– ასევე ვხედავთ ხოლმე, რომ როდესაც რაღაცა მოხდება, მერე იწყებენ მოქმედებას, რაც ასევე ერთეული შემთხვევებია. მაგრამ რატომ ვმოქმედებთ – „ურემი რომ გადაბრუნდება გზა მერე გამოჩნდება“-ს პრინციპით?

– ზუსტად ეს არის, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია პოლიტიკა. როდესაც პოლიტიკა და გეგმა გაქვს, ჩამოყალიბებული გაქვს კონცეფცია, რა უნდა გააკეთო, მაშინ იქ რისკებიც დათვლილი გაქვს. ყველანაირი შემთხვევა აღწერილი გაქვს, რა რისკზე როგორ რეაგირებ. როცა რაღაცა არ გამოგდის, მაშინ როგორ მოქმედებ და ა. შ. ეს არ გააჩნია და ამიტომ დიდი ტრაგედიები რომ ხდება, მერე იწყება რაღაცა რეაგირება, მაგრამ ესეც ფასადურია, რომ აი, მთავრობა დაინტერესდა. დარწმუნებული ვარ მინისტრი მივა, იქნება ლამაზი ფრაზები, გავა რამდენიმე კვირა, ჩაივლის ტრაგედიის მწვავე პერიოდი და ისევ იგივე ქმედებებს განახორციელებს სახელმწიფო. ზოგადად ასეა, რომ როდესაც ტრაგედია და მწვავე თემაა, მაშინ საზოგადოებაც აქტიური ხდება და მთავრობაც ფასადურად რაღაცას აკეთებს – ისვრის ლამაზ ფრაზებს, ხვდება ამ ხალხს დამწუხრებული სახით და ა. შ. მაგრამ გადის რამდენიმე კვირა და ეს პრობლემა ყველას ავიწყდება.

– პრემიერი საუბრობს წამლების ფასების გაიაფებაზე, რასაც ალბათ ყველა მივესალმებით, მაგრამ მივა ეს პროცესი ბოლომდე და ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ როცა ვსაუბრობთ თურქეთის ბაზრის გახსნაზე, როგორ უნდა გაკონტროლდეს ეს პროცესი, რათა არ შემოვიდეს ფალსიფიცირებული მედიკამენტები?

– რაც ეხება მედიკამენტის ფასს და ხარისხს, ეს ბევრი კომპონენტისგან შედგება. მხოლოდ თურქეთის ბაზრის გახსნა ამას არ უშველის. ამას დადებითაც მივიჩნევ, მაგრამ ეს არ უშველის. წამლების ფასის გაზრდას რაც იწვევს, ეს ბევრი კომპონენტისგან შედგება. რამდენიმეს ჩამოვთვლი: ეს არის ე. წ. ჰოლდინგების ანუ მონოპოლიების თემა, როდესაც შემომტანიც, გამსაღებელიც, წამლის დამნიშნავიც და გამყიდველიც ერთი ჰოლდინგია და ასეთი 3 ჰოლდინგი გვაქვს საქართველოში. ასევეა ინტერესთა კონფლიქტი, ანუ ვინც წამლებს ნიშნავს – ექიმებსა და მწარმოებელს შორის. ეს არის ელექტრონული რეცეპტების თემა, გაიდლაინების არსებობა და კონტროლი, ფასწარმოქმნის თავისუფალი პოლიტიკა, რომელიც საქართველოშია.

– ფასთა შეთანხმების თემებიც ხომ ვიცით, როდესაც სხვადასხვა ფარმაცევტული კომპანია თანხმდება?

– დიახ, ძალიან ბევრი მიმართულებაა და თუ მთავრობას უნდა, რომ ამას მოუაროს, მაშინ კომპლექსურად უნდა მივუდგეთ ამ საკითხებს. ასევე კანონმდებლობის თემაა. ამ განზრახვის სერიოზულობას დავიჯერებ, თუ იქნება კომპლექსური მიდგომა. ის პასუხი, რომ ახლა თურქეთის ბაზარს გავხსნი და წამალი იაფად შემოვა, ეს არ არის დამაკმაყოფილებელი. ეს უფრო პოლიტიკურ პოპულიზმს ჰგავს. თუ ამას არ მოყვება ის მიმართულებები, რაც მე ჩამოვთვალე და ამას გარდა კიდევ მრავალია, რომლის დეტალებშიც არ ჩავედი, თუ ამას არ მოყვება კონკრეტული მოქმედებები, ეს შედეგს არ გამოიღებს.

– ჩემ წინა კითხვას მივუბრუნდები, შესაძლოა დილეტანტი ვარ, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ როგორ უნდა მოხდეს გაკონტროლება იმის, რომ ფასის კლებასთან ერთად პროდუქციაც მაღალხარისხიანი იყოს?

– კი, რა თქმა უნდა. ფასი და ხარისხი ერთმანეთთან უნდა იყოს გადაჯაჭვული. მარტო ფასში არ არის პრობლემა, ხარისხშიც არის. ამის გაკონტროლება პრობლემატურია ჩვენ ქვეყანაში. არსებობს სხვადასხვა ტექნოლოგიები. არის „ჯი-ემ-პი“ ტექნოლოგია, რაც ბევრგან არის მიღებული. არის კიდევ უფრო თანამედროვე ტექნოლოგიები და სისტემებიც. ამის დანერგვა არც იგეგმება, მაგრამ იგივე „ჯი-ემ-პი“ სტანდარტი, რასაც ჰქვია, მთავრობა მას 2016 წლიდან გვპირდებოდა, რომ დანერგავდა, მერე 2022 წლის 1 იანვრამდე გადაწიეს, ახლა კი კიდევ 6 თვით გადაწიეს და გვეუბნებიან, რომ 30 ივნისს ამოქმედდება. როდესაც ამბობ, რომ საზღვარი გაიხსნება და შემოვა მედიკამენტები, ამ დროს კი ამ პროცესს კიდევ 6 თვით გადაწევ, აქ რისკები, რა თქმა უნდა, არის. არა მხოლოდ თურქეთიდან შემოტანილი წამლების, არამედ ნებისმიერი ქვეყნიდან შემოტანილის. ხარისხის კონტროლი პრობლემა იყო საქართველოში და რჩება პრობლემად. რაიმე ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გვინახავს, მხოლოდ გვესმის, რომ აი 6 თვეში და 5 თვეში იქნებაო. თუ დავინახავთ, რომ დაინერგა „ჯი-ემ-პი“ სტანდარტი და მუშაობს მისი ინსპექტორებიც და ეს სტანდარტიც, მერე შეგვიძლია უკვე უფრო მაღალი სტანდარტის შემოღებაზეც ვიმსჯელოთ.

– მერიასაც აქვს პროგრამა სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის 500 ლარის ღირებულების წამლების გაცემა. ეს პროგრამა რამდენად გამართულია და აქაც ხომ არ ჩნდება გარკვეული კორუფციის ნიშნები. ანუ, რამდენად მიიღებენ ბენეფიციარები დახმარებას, რადგანაც საჭიროა მესიჯის მიღება ტელეფონზე, მაგრამ ყველა სოცდაუცველ პენსიონერს აქვს ტელეფონი?

– უნდა შევხედოთ პროცესში, როგორ იმუშავებს. არ მინდა თავიდანვე ცუდი განწყობის შექმნა. რაც მთავარია, ეს უნდა იყოს მოქნილი და თუ ვერ მუშაობს, მიმდინარეობის დროს უნდა იცვლებოდეს. სამწუხაროდ, ცუდი გამოცდილება გვაქვს. მაგალითად, 2017-18-19 წლების განმავლობაში იყო პროგრამა და წლიურად 7-დან 12%-მდე სარგებლობდა ამ პროგრამით. წარმოიდგინეთ, რომ ასეთი დაბალი პროცენტი სარგებლობდა, მაშინ როდესაც, ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა სწორედ წამლების თემაა. არსებობს ცუდი გამოცდილება და იმედი მაქვს, რომ ამას გაითვალისწინებს მერია, შესაბამისად, უფრო დახვეწილი და გამოყენებადი პროგრამა იქნება.

ШОПИКОВ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,

ნახატ სურათებს,

ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ქართული ოცნებისთვის“ ნაციონალური მოძრაობა „გრუშაა“

მარიამ მჭედლიშვილი

მამუკა გიორგაძე: „არანაირი დასავლეთისკენ არ მივდივართ“

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.

– ყოფილი სანატორიუმი „ქართლის“ შენობიდან გადმოხტა და დაიღუპა ერთ-ერთი დევნილი. მანამდე ავარიულ შენობაში მცხოვრები დევნილები აწყობდნენ საპროტესტო აქციებს. ხელისუფლების წარმომადგენლების აზრით, ამის პროვოცირება მოახდინა რადიკალურმა ოპოზიციამ. ტრაგედია მოხდა მაშინ, როცა დევნილებს დაჰპირდნენ საცხოვრებლებს მიმდინარე, 2022 წელს. სახლებში გადასვლამდე მათ ქირით უნდა ეცხოვრათ.

– ეს ტრაგიკული შემთხვევა ადასტურებს, რომ პოლიტიკურ დონეზე პირველ კლასში ვიმყოფებით. აქამდე ვერ გაგვირკვევია, რომ ყველაფერზე, რაც ხდება, პასუხისმგებელია ხელისუფლება. ხელისუფლება იღებს კანონებს, აღასრულებს მათ და იღებს გადაწყვეტილებებს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენს შემთხვევაში ხელისუფლება ცდილობს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა და ყველაფერი გადააბრალოს სხვას. მოკრივეებს სავარჯიშოდ აქვთ „გრუშა“. „ქართული ოცნებისთვის“ ასეთი სავარჯიშოა ნაციონალური მოძრაობა. მომხდარმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ გაგვახსენა, რომ არ არსებობს არანაირი კონცეფცია აფხაზეთის პრობლემის მოგვარების თაობაზე, დევნილების საკითხების გადაჭრის შესახებ. ამ მხრივ ყველა ხელისუფლება ერთნაირი იყო.

– რომელ ხელისუფლებაზე საუბრობთ?

– არც შევარდნაძეს ჰქონია კონცეფცია, არც სააკაშვილს, არც „ქართულ ოცნებას“ აქვს. შევარდნაძე პრობლემას გამსახურდიას აბრალებდა, სააკაშვილი – შევარდნაძეს, ივანიშვილი – სააკაშვილს. დევნილებზე არ ზრუნავენ ისინი, ვისაც ეს პირდაპირ ევალება.

– ანუ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მთავრობას?

– რასაკვირველია. ეს სტრუქტურები ხელოვნურად არის შემორჩენილი. ისინი გადაქცეული არიან ცენტრალური ხელისუფლების დანამატად. ცენტრალური ხელისუფლების გამაგრების გარდა, ამ სფეროში მომუშავე ადამიანები ზრუნავენ საკუთარო ოჯახების კეთილდღეობაზე. მათ ახლობლების კეთილდღეობა და მომავალი უზრუნველყოფილი აქვთ.

სხვა დევნილებისთვის არაფერი გაუკეთებიათ. მას შემდეგ, რაც სახალხო პარტია არ არის პარლამენტში წარმოდგენილი (20 წელიწადი), პარლამენტს კონცეპტუალურად არ

„ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, შეეგუება კომუნისტური ცხოვრების წესს თუ მოახდენს ცვლილებებს“

განუხილავს აფხაზეთის თემა. ყოფილა მსჯელობა მხოლოდ ცალკეულ საკითხებზე. სინამდვილეში, კონკრეტული საკითხები უნდა იყოს კონცეფციის ნაწილი. ყველა ხელისუფლება ცდილობს, პრობლემა სხვას გადააბრალოს. მიდის ან გადაბრალება, ან იმის გამოცხადება, რომ დარეკეს ცხელ ხაზზე და რომელიმე საშინელება შეატყობინეს უცხოელ პარტნიორებს. უცხოეთს რომ აგებინებ, კარგია, მაგრამ თავად შენ რას აკეთებ?! რა შეიცვალა ხელისუფლების ქმედებებში ოთხოზორიას მკვლელობის, ტატუნაშვილის ტრაგედიის, ან ახლანდელი ტრაგიკული გადმოხტომის შემდეგ?! საქმე ისაა, რომ არც ხელისუფლებას და არც ე. წ. მთავარ ოპოზიციას, ნაციონალური მოძრაობის სახით, არ გააჩნიათ სახელმწიფოებრივი ცნობიერება და ბმა ეროვნულ პრობლემატიკასთან.

თავის დროზე სპირიდონ კედია და მიხაკო წერეთელი ამბობდნენ იმდროინდელ მმართველებზე, რომ მათ გვარების გარდა არაფერი აქვთ ქართული. ისინიც, ვისზეც ვსაუბრობ, ასე არიან. საქართველოსთან სულიერი ბმა არა აქვთ. ასეთებისთვის აფხაზეთი მხოლოდ კურორტია, რომელიც შეიძლება ჩაანაცვლო სხვა კურორტით. ასეთია მთელი პოლიტელიტა – მმართველი პარტიაც და ე. წ. მთავარი ოპოზიციაც.

– იანვარი მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი მოვლენებით დაიწყო. გაიმართა მოლაპარაკებები ვაშინგტონსა და მოსკოვს, ნატოსა და მოსკოვს შორის. პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ეს შეხვედრები საქართველოს პირდაპირ ეხება.

– მსოფლიოში მიდის ახალი წესრიგის დამყარების, ახალი ურთიერთობების დამყარების პროცესი. მსგავსი მოვლენები ხდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის წინ. ასეთ დროს წარმატებას აღწევს ის ქვეყანა თუ რესპუბლიკა, რომელსაც უკეთესი სასტარტო პირობები აქვს. სხვა ხდება მაჩანჩალა. სხვანაირად რომ ვთქვა, დუღილის პროცესია. ღვინის დუღილის დროს შეიძლება დაამატო ინგრედიენტები, ანუ შეიტანო ცვლილებები. დუღილი რომ მორჩება, ეს დაგვიანებულია.

– საქართველო როგორ იქცევა ამ დროს?

– ჩვენ კიდევ ერთხელ მოვხვდით დუღილის პროცესში. ჯერჯერობით, ისე ვიქცევით, რომ კიდევ ერთხელ დავრჩეთ მაჩანჩალა. გადართული ვართ არაარსებით საკითხებზე და სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვაზე. აქტუალურია, შეჭამა თუ არა არაჟანი სააკაშვილმა და როგორ გუნებაზეა ხელისუფლება. ხელისუფლება და მისი პარტნიორი ოპოზიცია-ნაცმოძრაობა დაკავებული არიან საზოგადოების მანიპულირებით და ერთმანეთში ფუნქციების გადანაწილებით.

– ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ექსპერტები ხელისუფლებას სხვადასხვა საგარეო რეკომენდაციას აძლევენ. ზოგი პრეზიდენტ ზურაბიშვილს მოუწოდებს, დიალოგი გამართოს რუსეთთან, ზოგი კი ამბობს, რომ საქართველო მეთვალყურის სტატუსით უნდა შეუერთდეს „3+3“-ის ფორმატს.

– ჯერ ჩვენ, ყველამ მოვილაპარაკოთ, რა გვინდა?! ასეთ საკითხებზე თანხმობა ხომ უნდა იყოს! არ შეიძლება გადაწყვეტილებები მიიღოს ერთმა კაცმა ან ვიწრო ჯგუფმა. იგივე ხდება ეროვნული თანხმობის პროცესში. იქაც ერთი ჯგუფი მონაწილეობს.

– თქვენმა პარტიამ რომ მოინდომოს პროცესში ჩართვა, არ მიგიღებენ?

– პრეზიდენტმა გამოააშკარავა, რომ არ აქვს ამის სურვილი. ასეთი შეხვედრები ჩვენი თვითმიზანი არ არის. ჩვენი ამოცანაა სახელმწიფოებრივი საკითხების შეთანხმება. შეხვედრაზე ორბელიანების სასახლეში ჩვენ არ მიგვიწვიეს. დამოუკიდებელი, განსხვავებული პოზიციის მქონე ძალები სპექტაკლებში არ ვეწერებით. პრეზიდენტიც ჩართულია პოლიტიკურ თამაშში. შეიძლება რომელიმე მიზანსცენა არ მოეწონოს, მაგრამ ისიც მონაწილეობს სპექტაკლში. ვინც მიიწვიეს, იმათაც თავიანთი როლები აქვთ. ამ დროს 20 წელიწადია არ მომხდარა მსჯელობა არც ერთ კონცეპტუალურ თემაზე. თუნდაც, რუსეთთან დამოკიდებულებაზე. არ ვიხილავთ, როგორ ახერხებს რუსეთი საკუთარი ინტერესების გატარებას. კონსტიტუციაში ჩავწერეთ, რომ ვადგავართ ევროატლანტიზმის გზას. ეს ჩანაწერი ფიქციაა.



– რატომ?

– ევროატლანტიკური კურსის მომხრეს შეიძლება ნორმალური სასამართლო არ ჰქონდეს? შეიძლება, რომ ასეთი ქვეყანა არ ცდილობდეს სამართლიანი და კონკურენტული არჩევნების ჩატარებას, ჯარის აღმშენებლობას და სხვა? რომელ დემოკრატიულ საზოგადოებაში გინახავთ, რომ ქვეყანაში არ მიმდინარეობდეს დისკუსია პრობლემებზე?!

– ოპოზიცია საქართველოშიც არსებობს.

– არა. ჩვენ ბოლშევიკური მმართველობა გვაქვს. ვინც ხელისუფლების პოზიციაზე არ დგას, ცხადდება მტრად და ხდება კლასობრივი მტერი. ასეთი მეთოდები გამოიყენება ნაცმოძრაობის მიმართაც. თამაშდება სპექტაკლი „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის მონაწილეობით. დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალებს ყველგან კარს უხურავენ. საუბედუროდ, არანაირი დასავლეთისკენ არ მივდივართ. საქართველოში არის ერთპარტიული დიქტატურა, არ არსებობს ნორმალური სასამართლო, სამოქალაქო კონტროლი ძალოვან უწყებებზე. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური იყო და ისიც გააუქმეს. ამას დაარქვეს რეორგანიზაცია. ყველაფერი აგებულია ერთი კაცის ხუშტურებზე. „ოცნების“ წარმომადგენლები რომ რიხიანად გველაპარაკებიან ტელევიზორებიდან, ისინიც იმ ერთმა კაცმა შეიყვანა საარჩევნო სიაში, თორემ პოლიტიკაში ვერ მოხვდებოდნენ. ამ ყველაფრის უკან იკარგება სახელმწიფოებრივი ინტერესები. რუსეთს საქართველოში უნდა ქაოსი და ამას აღწევს კიდეც აგენტურის მეშვეობით. „წამყვან“ პოლიტიკურ ძალებს უზრუნველყოფილი აქვთ ძალაუფლება, მატერიალური და საინფორმაციო უზრუნველყოფა. იმედი არ უნდა დავკარგოთ. ქართველი ხალხი საბჭოთა იმპერიის დროსაც გამოვიდა, როცა კი ამის შანსი მიეცა. ჩვენი ხალხის მენტალიტეტი არ შეცვლილა. ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, შეეგუება ამ მდგომარეობას, იმავე კომუნისტური ცხოვრების წესს თუ მოახდენს ცვლილებებს. უსაშველო არაფერი გვჭირს. ხალხმა უნდა იაქტიუროს და მომავალი უნდა ანდოს პასუხისმგებლობის, შესაბამისი უნარებისა და გამოცდილების მქონე პიროვნებებს, რომლებიც სახელმწიფოებრივად აზროვნებენ.

ირაკლი ლექვინაძე: „იაფი წამალი არ ნიშნავს უხარისხოს“

გუშინ, 17 იანვარს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს მთავრობის სხდომაზე და ეს გადაწყვეტილებები იყო ორი მიმართულებით, რომლის მთავარი მიზანი არის ჩვენი მოქალაქეებისთვის მედიკამენტებზე დანახარჯების შემცირება და უფრო მეტი ხელმისაწვდომობის ზრდა, – ამის შესახებ კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ირაკლი ლექვინაძემ „ქრონიკაში“ განაცხადა.

– ერთი უკავშირდებოდა თურქეთის ბაზარზე აღიარების რეჟიმის შემოტანას და პარალელური იმპორტის შესაძლებლობას, მეორე, ეს არის მხარდაჭერა იმ რეკომენდაციების, რომლებიც კონკურენციის სააგენტოს მონიტორინგის შედეგად იყო წარმოდგენილი. ჯამში, ჩვენ 13 რეკომენდაცია გავეცით და პირველი რიგის რეკომენდაციებში მოხვდა 11 რეკომენდაცია და სწორად ამ რეკომენდაციების მხარდაჭერაზეც იყო განცხადება გაკეთებული. პრემიერის დავალებით ჯანდაცვის სამინისტრო გააგრძელებს მუშაობას ამ რეგულირების პაკეტზე და მათ შორის, ბუნებრივია, ჩვენც ვიქნებით ჩართულები.

რაც შეეხება თურქეთის ბაზარს, ბუნებრივია, თურქეთის ბაზარი საკმაოდ მოცულობითია, აქამდე გარკვეული შეზღუდვა მოქმედებდა და არ გვქონდა პარალელური იმპორტის შესაძლებლობა. თუმცა, ჩვენ რომ ვნახოთ ფასების კონტრასტი ერთი და იგივე ტიპის მედიკამენტებზე, მათ შორის ხარისხიან და ყველაზე მოთხოვნად მედიკამენტებზე, ფასები არის საკმაოდ მნიშვნელოვნად განსხვავებული. პირობითად, თუ თურქეთის საცალო ქსელში, პირობითად ქ. ხოფაში ღირს კონკრეტული მედიკამენტი ლარი და 60, საქართველოში შეიძლება იგივე მედიკამენტი 10-12 ლარის ფარგლებში ღირდეს. რატომ ხდება ეს ასე – ზოგადად მსოფლიოში აღიარებული ფარმაცევტული კომპანიები, რომლებიც არიან მიმწოდებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისთვის, ბაზრის სიდიდეს უყურებენ, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტია, რომელიც განსაზღვრავს მიწოდების ფასს. ანუ, თურქეთის ბაზრისთვის იმ რეგულაციების გათვალისწინებით, რომლებიც იქ არსებობს, ფასი არის ბევრად დაბალი, ჩვენი ქვეყნისთვის ეს ფასი არის შედარებით განსხვავებული. იმ რეჟიმის გახსნა და პარალელური იმპორტის შესაძლებლობა იძლევა სწორედ იმის საშუალებას, რომ საქართველოში თურქეთიდან იყოს იმპორტირებული მაღალი ხარისხის, მაგრამ იაფი მედიკამენტები და ამან მნიშვნელოვნად გაუადვილოს წვდომა საქართველოს მოქალაქეებს ბევრად უფრო იაფ მედიკამენტებზე, – განაცხადა ლექვინაძემ.

თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს მედიკამენტებზე ხარისხის კონტროლი, ამ მიზნით მათი ერთ-ერთი რეკომენდაციაა ქვეყანაში ელექტრონული და ჯენერიკული რეცეპტის დანერგვა.

– ჩვენი რეკომენდაციების მიხედვით ქვეყანაში უნდა არსებობდეს ელექტრონული და ჯენერიკული რეცეპტი, რითაც ერთი და იგივე დანიშნულებისა და ფასებით განსხვავებულ მედიკამენტებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა იქნება. ჩვენი ერთ-ერთი რეკომენდაციაა, ასევე, მედიკამენტის ხარისხის სტანდარტის შემოღება როგორც იმპორტის, ასევე ადგილობრივი წარმოების დონეზე. ამის შესაბამისი ინსტრუქციები და აღსრულების მექანიზმები არსებობს და ეს მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რათა საქართველოს ბაზარზე იყოს მხოლოდ ხარისხიანი მედიკამენტი და იაფფასიანი მედიკამენტი უხარისხო მედიკამენტს არ ნიშნავდეს, – განაცხადა ლექვინაძემ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „მილიონ ადამიანს დავუსუბსიდირებთ ელექტროენერგიის ტარიფის ნაზარდს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნაში. 2012 წელს ექსპორტს მხოლოდ 100 კომპანია აწარმოებდა.

– მოგეხსენებათ, რომ ძალიან ბევრი კომპანია დაემატა და 441 ქართული კომპანია ახორციელებს ღვინის ექსპორტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. შედარებისთვის, 2012 წელს სულ იყო 100 ექსპორტიორი კომპანია.

ჯამურად, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ღვინის ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 400 მილიონ დოლარამდე შემოსავალი, რაც 18%-ით მეტია 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან და 142%-ით მეტია 2012 წელთან შედარებით, მაშინ იყო 163 მილიონი დოლარი. ეს არის რეალური განსხვავება, რაც ჩვენი მთავრობის ძალისხმევით იქნა მიღწეული და ასევე „ქართული ოცნების“ მიერ 2012 წლის პირველ ოქტომბერს ჩვენ მიერ დაწყებული გონივრული პოლიტიკით, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

სამუშაო შეხვედრაზე მთავრობის მეთაურმა გუბერნატორებთან რეგიონებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილა და ხაზი გაუსვა შესაბამისი სამუშაოების მოკლე ვადებში განხორციელების აუცილებლობას.

პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობისთვის უმნიშვნელოვანესია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მოსახლეობისთვის პრიორიტეტული პროექტების განხორციელებას და ამ პროცესში გუბერნატორების როლი გადამწყვეტია.

შეხვედრაზე თითოეული რეგიონის მიხედვით დეტალურად განიხილეს არსებული პროექტები, მათ შორის პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული „განახლებული რეგიონების“ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები, ასევე იმსჯელეს საჭიროებებზე, როგორებიცაა ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ხარისხიანი წყალმომარაგება თუ შიდა გზების მოწესრიგება.

ხაზი გაესვა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მაქსიმალური კოორდინაციის აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხების სწრაფად და ეფექტიანად მოგვარებას.

ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო რწმუნებულებს დაავალა, მაქსიმალური კომუნიკაცია ჰქონდეთ ადგილობრივ მცხოვრებლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს რეგიონის მოსახლეობის საჭიროებების უმოკლეს ვადებში გადაჭრა.

ნონა ჭაბაშვილის მკვლელობისთვის დაკავებულ გიორგი ბარბაქაძეს ბრალი წაუყენეს

ლაგოდეხში, ყოფილი მეუღლის, ნონა ჭაბაშვილის, მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ გიორგი ბარბაქაძეს ბრალი წარუდგინეს.

38 წლის მამაკაცს ბრალი თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში გააცნეს. ადვოკატის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი დუმილის უფლებას იყენებს და საქმის დეტალებსა და საკუთარ პოზიციას არ ახმოვანებს.

– ბრალდება საუბრობს ოჯახურ ძალადობაზე, რასაც თან მოჰყვა მკვლელობა. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, ჯერჯერობით, პოზიციის დაფიქსირებისაგან თავს იკავებს და დუმილის უფლებას იყენებს, – განაცხადა ადვოკატმა.

საქართველოს პროკურატურამ ბრალდების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 15 იანვარს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ბრალდებულმა კონფლიქტის დროს, ყოფილი მეუღლე, მისსავე საცხოვრებელ სახლში ყელის არეში ხელის მოჭერით გაგუდა.

„დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ბრალდებულმა გაზქურის ონკანი გახსნა, რათა მოეხდინა გარდაცვლილის ბუნებრივი გაზით ინტოქსიკაციის ინსცენირება, ხოლო თავად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა გ.ბ. 16 იანვარს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარედგინა (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრის მიმართ), რაც სასჯელის სახედ და ზომად 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით თელავის რაიონულ სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

„ტუჩი მაქვს გახეთქილი, ყურიდან სისხლი წამომივიდა“

ქუთაისში პირსინგის გამო ბრიტანეთის მოქალაქეს სცემეს

ქუთაისში, დიდი ბრიტანეთის მოქალაქეს პირსინგის გამო, თავს დაესხნენ.

27 წლის ტურისტი ყვება, რომ ბარში მეგობარ გოგოსთან ერთად იყო, როდესაც იქ მყოფმა კაცმა აგრესიული კომენტარი გააკეთა მის პირსინგზე, ბარიდან წამოსვლის შემდეგ კი თეთრ ხიდთან დახვდა და ფიზიკურად გაუსწორდა.

– მე და ჩემი შეყვარებული ბარში ვიმყოფებოდით, ბევრი არ დაგვილევია, მხოლოდ თითო ლუდი. მთვრალები არ ვიყავით. პატარა პირსინგი მაქვს ტუჩზე და ერთმა კაცმა აგრესიულად გააკეთა კომენტარი ამაზე. ის ძალიან მთვრალი იყო და ყველას ეჩხუბებოდა. სიტუაციას გავერიდე. ბარიდან წამოსულებს ეს კაცი დაგვხვდა, აშკარად მე მელოდებოდა და თან ახლდა მეგობარიც. ცემა დამიწყო, ძლიერად მირტყამდა და ძირს დავეცი. როგორც იქნა, ამ კაცს გავექეცით. ტუჩი მაქვს გახეთქილი, დაზიანებები მაქვს თავზე, ყურიდან სისხლი წამომივიდა ცემისას. ჭამისას და ლაპარაკისას ყბა მტკივა, – ამბობს ტურისტი.

გიდები ამბობენ, რომ მსგავსი შემთხვევები ქვეყანაში ტურიზმს მნიშვნელოვნად დააზიანებს. მათ იმედი აქვთ, რომ პოლიცია ფაქტს შესაბამისად გამოიძიებს და დამნაშავე პირები პასუხისგებაში მიეცემიან.

– კვების ობიექტში წამოვიდა დაპირისპირება პირსინგის გამო, რის გამოც მოხდა შელაპარაკება და მერე ფიზიკური ანგარიშსწორება, როგორც გავიგეთ. ეს არის ძალიან სამწუხარო და ვფიქრობ, სამართალდამცავი ორგანოები შესაბამისი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამ მნიშვნელოვან საკითხს და დამნაშავე პირები საკადრისად დაისჯებიან. მსგავსი ფაქტების განმეორებამ შეიძლება, საერთოდ მოკლას ტურიზმი ქუთაისში და, ზოგადად, საქართველოში, – თქვა ახალგაზრდა გიდების ასოციაციის ხელმძღვანელმა, ლაშა ბერიკაშვილმა.

ტურისტმა საგამოძიებო ორგანოს ჩვენება უკვე მისცა. როგორც ის ამბობს, პოლიციელები ურჩევდნენ, ჩვენებაში ეთქვა, რომ მასზე ფიზიკური ანგარიშსწორება არ მომხდარა და, უბრალოდ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

„ეს ადგენს საშიშ პრეცედენტს“

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საქალაქო სასამართლოს წინააღმდეგ

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმაურება, რომელმაც სრულად გააუქმა სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების გასაჯაროების შესახებ.

„2022 წლის 17 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სპეციალური პენიტენციური სამსახურის საჩივრის განხილვა და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც სახელმწიფო ინსპექტორის მიერ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაჯარიმების შესახებ, მიღებული გადაწყვეტილება სრულად გაუქმდა.

აღნიშნულს წინ უძღვოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 11 იანვრის კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ ასევე, სრულად გააუქმა სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილება – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების გასაჯაროების შესახებ.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სპეციალური პენიტენციური სამსახური 2021 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით სამართალდამრღვევად ცნო საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების არაკანონიერი გასაჯაროებისთვის.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა) გათვალისწინებული ორი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, ხოლო სპეციალური პენიტენციური სამსახური ამავე მუხლით გათვალისწინებული ექვსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, რისთვისაც მათ დაეკისრათ ჯარიმა და დაევალათ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდებსა და ოფიციალურ ვებგვერდზე გასაჯაროებული მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების არასანქციონირებული გავრცელებისა და ინფორმაციის ფლობის, ასევე, ინფორმაციის ფლობის ან/და გავრცელების ნებართვის ან/და

გერმანიის საგარეო მინისტრი: „რუსეთს აგრესიისთვის მაღალი ფასის გადახდა მოუწევს“

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ანალენა ბაერბოკს იმედი აქვს, რომ უკრაინის გამო რუსეთთან შექმნილი მზარდი დაძაბულობის დიპლომატიური გზით მოგვარება შესაძლებელია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი თავს დაესხმება უკრაინას, ის დაზარალდება.

– რუსეთს ყოველი შემდგომი აგრესიული ქმედებისთვის მაღალი ფასის გადახდა მოუწევს ეკონომიკურად, სტრატეგიულად, პოლიტიკურად, – განაცხადა ბაერბოკმა კიევში ვიზიტისას, უკრაინელ კოლეგასთან, დმიტრო კულებასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, დიპლომატია არის ერთადერთი გზა.

როგორც მედია წერს, გერმანია მხარს უჭერს უკრაინას მოსკოვთან დაპირისპირებაში მას შემდეგ, რაც 2014 წელს რუსეთმა ყირიმის ოკუპაცია განახორციელა და მხარი დაუჭირა სეპარატისტებს დონბასის რეგიონში, მაგრამ ორ ქვეყანას შორის გარკვეული სადავო საკითხებიც არსებობს. კერძოდ, უკრაინა ეწინააღმდეგება „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის პროექტს, რომელიც გერმანიისთვის რუსული გაზის უკრაინის გვერდის ავლით მიწოდებას ითვალისწინებს.

ამასთან, კიევმა რამდენჯერმე გააკრიტიკა ბერლინი უკრაინისთვის იარაღის მიყიდვაზე უარის თქმის გამო.

საფრანგეთში ვაქცინაციის საშვის წარდგენა სავალდებულო გახდა

საფრანგეთის პარლამენტმა საბოლოოდ დაამტკიცა კოვიდ 19-ის წინააღმდეგ მიმართული მთავრობის უახლესი ზომები, მათ შორის ვაქცინაციის საშვი.

ახალი კანონით, რომელიც უახლოეს დღეებში შევა ძალაში, ვაქცინაციის საშვის წარდგენა სავალდებულო იქნება მუზეუმებში, თეატრებში, კაფეებსა და რესტორნებში შესასვლელად და შორი მანძილის მატარებლებით მგზავრობისას.

ვაქცინაციის საშვი მხოლოდ სრული ვაქცინაციის საფუძველზე გაიცემა.

ამჟამად არავაქცინირებულ მოქალაქეებს აღნიშნულ ადგილებში შესვლა შეუძლიათ, თუ ისინი კორონავირუსის ტესტის უარყოფით პასუხს წარადგენენ.

კანონი პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში ათასობით მოქალაქემ გააპროტესტა.

საფრანგეთის ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში სრულად ვაქცინირებულია მოსახლეობის დაახლოებით 78%.

ჩრდილოეთ კორეამ 2 ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა

ჩრდილოეთ კორეამ კიდევ ორი, სავარაუდოდ, მცირე რადიუსის ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა.

ამის შესახებ სამხრეთ კორეის გაერთიანებულ შტაბსა და იაპონიის ხელისუფლებაში აცხადებენ.

რაკეტებმა, რომლებიც დედაქალაქ ფხენიანის აეროპორტიდან გაუშვეს, 380 კილომეტრი მანძილი დაფარეს.

იაპონიის თავდაცვის მინისტრმა ნობუო კიშიმ განაცხადა, რომ რაკეტები, როგორც ჩანს, ოკეანეში, ჩრდილოეთ კორეის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ჩაეშვნენ.

– აშკარაა, რომ ჩრდილოეთ კორეის მიერ რაკეტების ხშირად გაშვების მიზანი მათი სარაკეტო ტექნოლოგიის გაუმჯობესებაა. ბალისტიკური რაკეტების გაშვება სერიოზული პრობლემაა საერთაშორისო საზოგადოებისთვის, მათ შორის, იაპონიისთვის, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

მისი თქმით, ჩრდილოეთ კორეამ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები დაარღვია, რომლებიც მას ბალისტიკური რაკეტების შექმნას უკრძალავს.

ბოლო 2 კვირაზე ნაკლებ დროში ჩრდილოეთ კორეამ რაკეტები მეოთხედ გამოსცადა.

საბერძნეთში 60 წელზე უფროსი არავაქცინირებული პირები 100 ევროთი დაჯარიმდებიან

საბერძნეთში 60 წელს გადაცილებული არავაქცინირებული პირები 17 იანვრიდან დაჯარიმდებიან.

მათ ყოველთვიურად ჯარიმის სახით 100 ევროს გადახდა მოუწევთ.

საბერძნეთის მთავრობის მონაცემებით, ქვეყანაში 60 წელს გადაცილებული პირების 90 პროცენტი სრულად არის ვაქცინირებული ან აცრის გასაკეთებლად ვიზიტი დაჯავშნილი აქვს.

დაახლოებით 300 ათას ადამიანს დაჯარიმება ემუქრება.

საბერძნეთში 16 იანვარს კორონავირუსს კიდევ 95 ადამიანი ემსხვერპლა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მეთევზემ დიდი თევზი დაიჭირა და რეკორდი დაამყარა

ამერიკელმა მეთევზემ დიდი ზომის მთის როლი დაიჭირა და შტატის რეკორდი მოხსნა. ახლა მის ნადავლს სპორტული თევზაობის საერთაშორისო ასოციაციაში ამოწმებენ და შესაძლოა ის მსოფლიო რეკორდსმენადაც აღიარონ.

რეკორდული თევზი ორეგონელმა ალექს დიცმა 2021 წლის დეკემბერს დაიჭირა.

– ჩემმა ახლობელმა ჯეისონ შრაიბერმა, რომელთან ერთადაც დავდივარ ჩვეულებრივ სათევზაოდ, შენიშნა, რომ ჩემ ანკესს მსხვილი თევზი წამოეგო და იმის სანახავად მოვიდა, რომ გაეგო, რა ხდებოდა, – იხსენებს დიცი, – ჩვენ თევზს სურათი გადავუღეთ, ვიცინეთ და უკვე მის გაშვებას ვაპირებდი, რომ უცბად მივხვდი, რომ ის შესაძლოა შტატის რეკორდსმენი გამხდარიყო.

დიცმა დაჭერილი თევზი ქალაქში ორეგონის შტატის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის წესების შესაბამისად გასაზომად წაიღო. როგორც გაირკვა, თევზის სიგრძემ 61 სანტიმეტრი, სიგანემ – 35,5 სანტიმეტრი, ხოლო წონამ – 2,6 კილოგრამი შეადგინა, რაც 400 გრამით აღემატება იმ მთის როლის წონას, რომელიც შტატის ოფიციალურ რეკორდსმენადაა დარეგისტრირებული. მიმდინარე წლის 7 იანვარს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა ოფიციალურად აღიარა დიცი შტატის რეკორდსმენად.

მამაკაცი პენისის დამოკლებას კოვიდ-19 აბრალებს

აშშ-ის მკვიდრმა განაცხადა, რომ მისი პენისი ოთხი სანტიმეტრით დამოკლდა მას შემდეგ, რაც კოვიდ-19 გადაიტანა.

30 წლის მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ ახალი კორონავირუსის ინფექცია 2021 წლის ივლისში გადაიტანა. ამის შემდეგ მას ერექციის პრობლემები დაეწყო, თუმცა დროთა განმავლობაში ყველაფერი ნორმის ფარგლებში ჩაჯდა. თუმცა, როგორც ამერიკელმა შენიშნა, მისი სასქესო ორგანოს ზომა ერთნახევარი დიუიმით (დაახლოებით ოთხი სანტიმეტრი) შემცირდა.

– დაავადებამდე ჩემი პენისის ზომა საშუალოზე მეტი იყო, არა უზარმაზარი, მაგრამ ჩვეულებრივზე დიდი. ახლა კი ოთხ სანტიმეტრამდე დავკარგე და ჩემი პენისი უკვე საშუალოზე პატარაა, – დაიჩივლა ამერიკელმა.

ექიმებმა დაასახელეს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო. ჯერ ერთი, ერექტილური დისფუნქციის დროს ქსოვილები შესაძლოა შეკუმშულიყო სისხლის მიმოქცევის მკვეთრად შემცირების გამო. მეორეც, ინფექცია იჭრება სასქესო ორგანოს სისხლძარღვების უჯრედებში, რაც შეიძლება ხელს უშლიდეს ნორმალურ სისხლის მიმოქცევას.

პოლიციელების მიერ მომაკვდავი გოგონას გადარჩენის კადრები სოციალურ ქსელებში გავრცელდა

ვიდეო საპატრულო მანქანიდან, რომელშიც პოლიციელები მომაკვდავ გოგონას ეხმარებიან, სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

ინციდენტი არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში მოხდა. პოლიციის თანამშრომლები ლაურა პაგანი და დიეგო კარიზო ქუჩებში პატრულირებდნენ, როდესაც ქალის ყვირილს ხმა შემოესმათ, რომელსაც ხელში ბავშვი ჰყავდა აყვანილი. აღმოჩნდა, რომ წლინახევრის გოგონას სუნთქვა ეკვროდა.

პოლიციელებმა დედა მაშინვე მანქანის უკანა სავარძელზე მოათავსეს, პაგანიმ კი ბავშვს ხელოვნური სუნთქვის ჩატარება მძღოლის გვერდით სავარძელში დაუწყო, სანამ კარიზო დიდი სიჩქარით მიაქროლებდა ავტომობილს უახლოესი საავადმყოფოსკენ. ერთ-ერთ შუქნიშანთან პოლიციის ავტომობილი კინაღამ გაჩერებულ ავტომობილს დაეჯახა, თუმცა კარიზომ დროულად დამუხრუჭება მოასწრო.

საბოლოოდ პოლიციის თანამშრომელმა გოგონას სიცოცხლის გადარჩენა საავადმყოფოს შესასვლელამდე მოასწრო.

– დამავიწყდა, რომ პოლიციელი ვიყავი და საკუთარი თავი ბავშვის დედის ადგილზე დავაყენე, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი შვილები არ მყავს, – განაცხადა ლაურა პაგანიმ.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ექიმებმა გოგონას მდგომარეობის დასტაბილურება შეძლეს. მას ალიმა ჰქვია. ამჟამად მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

მოძალადეს, რომელმაც საკუთარი სიკვდილი გაითამაშა, კოვიდ-19 შეეყარა

შოტლანდიის ქალაქ გლაზგოს ერთ-ერთ საავადმყოფოში აღმოაჩინეს ამერიკელი, რომელმაც იმისთვის, რომ გაუპატიურებაში ბრალდება თავიდან აეცილებინა, საკუთარი სიკვდილი გაითამაშა. ნიკოლას როსიმ საკუთარი სიკვდილი გაითამაშა, მაგრამ მას შემდეგ ჩავარდა, როდესაც კოვიდ-19 შეეყარა.

როსის გაუპატიურების ბრალდება ჯერ კიდევ 2008 წელს წაუყენეს, ხოლო მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ის ადამიანების გატაცებასთანაც იყო დაკავშირებული. ის წლების მანძილზე ემალებოდა მართლმსაჯულებას, ხოლო 2020 წელს საკუთარი სიკვდილი გაითამაშა და გაუჩინარდა. რამდენიმე გამოცემა იუწყებოდა, რომ თითქოსდა როსი ლიმფომისგან დაიღუპა, მის ცხედარს კრემაცია ჩაუტარდა, ხოლო მისი ფერფლი ზღვაში ჩაიყარა.

თუმცა 2021 წელს როსი დედოფალ ელისაბედის საუნივერსიტეტო საავადმყოფოში აღმოჩნდა, სადაც ის კორონავირუსით დაინფიცირების შედეგად მოათავსეს. დაავადების დროს წარმოქმნილი გართულებების გამო, მან რამდენიმე კვირა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გაატარა. ექიმებს თავი მან არტურ ნაიტად წარუდგინა. როგორც პოლიციამ გამოარკვია, ამერიკელი, როგორც მინიმუმ, რვა ფსევდონიმს იყენებდა. ის საკუთარ თავს უწოდებდა ნიკოლას ალახვერდიანს, ნიკოლას ალახვერდიან როსის, ნიკოლას ედვარდ როსის, ნიკოლას ალახვერდიან-როსის, ნიკ ალანს, ნიკოლას ბრაუნს, არტურ ბრაუნს და არტურ ნაიტს. ამერიკის იუტას შტატის პროკურორმა დევიდ ლივიტმა აღიარა, რომ არა როსის საავადმყოფოში მოთავსება, შესაძლოა ის ვერც ვერასოდეს ეპოვათ. ამჟამად მისი აშშ-ში ექსტრადიციაზე მიმდინარეობს მუშაობა.

ქალი დედის რჩევამ გაამდიდრა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ ლინკოლნ-პარკის მცხოვრებმა ქალმა დედის რჩევა გაითვალისწინა და გამდიდრდა.

37 წლის ქალი კაფეში იჯდა დედასთან ერთად და იმაზე მსჯელობდა, მიეღო თუ არა მასთან ერთად ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობა. დედამ მას ურჩია მონაწილეობა მიეღო 1,6 მილიონი ჯეკპოტის მქონე გათამაშებაში და მან დედის რჩევა გაითვალისწინა.

– ორი ბილეთი ვიყიდე და რამდენიმე დოლარი მოვიგე. მაშინ გადავწყვიტე, რომ მოგებული ფულით კიდევ ერთი ლატარიის ბილეთი შემეძინა და ჯეკპოტი მოვხსენი. ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ არ ვიცოდი, როგორი რეაგირება მომეხდინა ამ ყოველივეზე, – განაცხადა ქალმა.

გათამაშების გამარჯვებულმა თავისთან უხმო კაფეს მფლობელს და უთხრა, რომ ლატარიაში გაიმარჯვა. ქალმა მას სთხოვა ბილეთის შემოწმება და მან დაუდასტურა, რომ სწორედ მან მოხსნა ჯეკპოტი.

– უბრალოდ, მომხდარს ვერ ვიჯერებდი, – ხაზგასმით აღნიშნა ქალმა, რომელიც მოგებული თანხით ახალი სახლის ყიდვას, სწავლის კრედიტის დაფარვას და შვილთან ერთად დისნეის პარკის მონახულებას გეგმავს. დარჩენილ თანხას კი სამომავლოდ გადადებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზორან მარუშიჩი: „მადლობა ღმერთს იმისთვის, რასაც საქართველოში მივაღწიე“

გასული წლის ეროვნული ლიგის ბომბარდირი თბილისის დინამოს სერბი თავდამსხმელი ზორან მარუშიჩი გახდა.

დინამო ახალი სეზონისთვის ვარჯიშს კი შეუდგა, მაგრამ ჯერ მარუშიჩის გარეშე. თუმცა, სერბულ მედიასთან მიცემულ ინტერვიუში მარუშიჩი ამბობს, რომ ჯერ ისევ დინამოს ფეხბურთელია.

ზორან მარუშიჩი:

– თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 2021 წლის სეზონი გამორჩეული იყო ჩემს კარიერაში. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბევრი გოლის გატანას შევძლებდი, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, თუ ამდენ ჯილდოს მოვიპოვებდი...

საქართველომდე ბელარუსულ ნემანში ვითამაშე, 10 გოლი გავიტანე და გუნდში კარგად ჩავეწერე. იქამდე, ნემანი ძირითადად ცხრილის შუაში იყო, ჩვენ კი, იმდენი შევძელით, რომ გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძოდა...

ბელარუსის ჩემპიონატში კარგმა თამაშმა მომცა იმის საშუალება, რომ გადავსულიყავი ახალ კლუბში. მადლობა ღმერთს იმისთვის, რასაც საქართველოში მივაღწიე. ჩემთვის ეს დიდი მოტივაციაა. ახლა ვარჯიში იმავე მოტივაციით უნდა გავაგრძელო, რათა ფორმიდან არ ამოვვარდე...

ცხადია, იმის სურვილიც მაქვს, რომ ჩემი შესაძლებლობები სხვა ლიგებშიც დავამტკიცო, მაგრამ თბილისური კლუბის ხელმძღვანელობასთან ვისაუბრებ მას შემდეგ, რაც სერბეთში დავისვენებ. დიდი ალბათობით შემიძლია ვთქვა, რომ დინამოში დავრჩები. კლუბმა სოლიდური ნაბიჯი გადადგა, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

სერბულ სუპერლიგაში ცოტა ვითამაშე, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ სათამაშო დონით საქართველოს ჩემპიონატი მთლიანობაში სულაც არ ჩამოუვარდება სერბულს. თუმცა, თბილისისა და ბათუმის დინამოები ვერ არიან სერბეთის საუკეთესო კლუბების, პარტიზანისა და ცრვენა ზვეზდას დონეზე...

თბილისის დინამო საქართველოს ისტორიაში საუკეთესო კლუბია. მოლოდინი დიდია და მიზანი მუდამ ევროთასებზე დამაჯერებელი გამოსვლაა. კლუბი უკვე მუშაობს იმაზე, რომ შემადგენლობა უფრო ძლიერი იყოს. ჩვენს ქომაგს გაახარებს ჩემპიონობა და გასვლა კონფერენსლიგის ჯგუფურ ეტაპზე...

მჯერა, მალე ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელების თაობაზე ყველა გაიგებს. თამაშის დროს არაერთ ხარისხიან ახალგაზრდა მოთამაშეს ვამჩნევ. ეს საქართველოს ნაკრების მომავალია...

საქართველოსთან შესაგუებლად დიდი დრო არ დამჭირვებია. მიყვარს ახალი ხალხის, ახალი კულტურის გაცნობა. ქართველები არ ცხოვრობენ ჩვენსავით სწრაფად...

სანდრო ბაზაძის ისტორიული ოქროს მედალი

სანდრო ბაზაძე პირველი ქართველი მოფარიკავეა, რომელმაც მსოფლიოს თასის ეტაპზე ოქროს მედალი მოიპოვა. მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპს თბილისმა უმასპინძლა და ბაზაძე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ჩვენებური თბილისის ტურნირამდე რეიტინგში მეხუთე იყო. შედეგად, საკვალიფიკაციო ეტაპში არ მონაწილეობდა და საქმეში პირდაპირ ფლეიოფიდან ჩაერთო. ბაზაძემ ოქროსკენ მიმავალი გზა რუსი სპორტსმენით დაიწყო და რუსი სპორტსმენით დაასრულა: ოლეგ პეტროვსკი (15:8), უნგრელი სანად გემეში (15:10), კორეელი ჯუნ-ჰო კიმი (15:7), იტალიელი ჯოვანი რეპეტი (15:10), ფრანგი ბოლად აპიტი (15:10) და კამილ იბრაგიმოვი (15:8) – ასეთი გზა გაიარა უმაღლესი სინჯის მედლამდე ჩვენებურმა.

წარმატებით იასპარეზა 23-წლამდელებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა ბექა ბაზაძემ. ჯგუფში 4 მოფარიკავეს სძლია, ამდენივე სპორტსმენი ფლეიოფშიც ჩამოიშორა, მაგრამ მეხუთე შეხვედრა წააგო და მე-15 ადგილზე გავიდა.

თბილისში მედლებისთვის ქალებიც იბრძოდნენ. ქართველთაგან საუკეთესო შედეგი 2017 წლის ევროპის ჩემპიონმა თეოდორა კახიან-მეკლინგმა აჩვენა, რომელმაც 27-ე ადგილი დაიკავა.

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

საქართველოს ფუტსალის ნაკრები ევროპირველობას კარგ განწყობაზე ხვდება

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა 2022 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ფარგლებში ტაჯიკეთის ეროვნულ გუნდთან 2 ამხანაგური მატჩი გამართა და ორივე დიდი ანგარიშით მოიგო.

პირველი მატჩი ჩვენებმა 6:2 მოიგეს. სტუმრებმა ანგარიში უმედ კუზიევის სწრაფი გოლით გახსნეს. საპასუხოდ, საქართველოს ნაკრებმა ნახევარწუთიან მონაკვეთში მეტოქეს 2 გოლი გაუტანა – თავი ელისანდრომ და თალესმა გამოიჩინეს. თუმცა, ტაიმის საბოლოო ანგარიში ბახტიორ სოლიევმა დააფიქსირა – 2:2.

მე-2 ტაიმში ავთანდილ ასათიანის გუნდი კიდევ ერთხელ დაწინაურდა, მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ირაკლი თოდუას პასით შოთა თოფურიამ მასპინძლები მეორედ გაიყვანა წინ, თალესმა დუბლი გაიფორმა და უპირატესობა 2-მდე გაზარდა. ნიკოლოზ კურტანიძემ ვახტანგ კეკელიას პასით მასპინძელთა მე-5 გოლი გაიტანა, ხოლო არჩილ სებისკვერაძემ მატჩის ბოლო წუთზე თალესის პასი გამოიყენა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

კიდევ უფრო დამაჯერებელი და უხვგოლიანი გამოდგა მეორე მატჩი.

პირველი ნახევარი ავთანდილ ასათიანის გუნდმა 4:1 მოიგო. ანგარიში ელისანდრომ გახსნა, მალევე არჩილ სებისკვერაძეს შეეძლო მასპინძელთა უპირატესობის ორამდე გაზრდა, თუმცა მის მიერ შესრულებული პენალტი მეკარემ მოიგერია. მე-7 წუთზე ტაჯიკეთს ნაკრებმა იდრის ირეროვის გოლით გაათანაბრა, რასაც მასპინძელთა მხრიდან თალესის, ელისანდროს და ნიკოლოზ კურტანიძის ზუსტი დარტყმები მოჰყვა.

შესვენების შემდეგ მოედანზე მასპინძლები სრულად დომინირებდნენ. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა კიდევ 6 გოლი გაიტანეს. ელისანდრომ პოკერი შეასრულა, ხოლო კურტანიძემ – დუბლი. თითო გოლი ვილიანის, გიორგი ღავთაძის და ირაკლი თოდუას ანგარიშზეა.

ავთანდილ ასათიანი:

– კარგია, რომ გავიმარჯვეთ, რაც ფსიქოლოგიურად კარგ განწყობას გვაძლევს. გარდა ამისა, გამოვიყენეთ ბევრი ტაქტიკური ჩანაფიქრი. რაღაც არ გამოგვივიდა, რაღაც უკეთ გავაკეთეთ. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატისთვის მზად ვართ.

საქართველოს ფუტსალის ნაკრები ნიდერლანდებში გაემგზავრება, სადაც ევროპის ჩემპიონატზე არსებობის ისტორიაში პირველად იასპარეზებს.

კონტინენტის პირველობა 19 იანვრიდან 6 თებერვლის ჩათვლით გაიმართება.

ავთანდილ ასათიანის გუნდი ჯგუფური ეტაპის შეხვედრებს გრონინგენში ჩაატარებს. პირველი მატჩი საქართველოს ნაკრებს 22 იანვარს აზერბაიჯანის წინააღმდეგ ექნება.

თბილისის დინამო მზადებას განაგრძობს

როგორც გითხარით, დინამო ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. კახა ცხადაძის გუნდს დიღმის ბაზაზე 2-ჯერადი ვარჯიშები აქვს. საწვრთნელ პროცესში 24-მა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა. ინდივიდუალურად ემზადებიან ანზორ მექვაბიშვილი და გიორგი გვიშიანი.

დინამოს ვარჯიშში მონაწილეობა შემდეგმა ფეხბურთელებმა მიიღეს:

მეკარეები: დავით კერესელიძე, პაპუნა ბერუაშვილი, ლუკა კუტალაძე;

მცველები: გიორგი მაისურაძე, საიმონ ბენიო, ირაკლი იაკობიძე, საბა ხვადაგიანი, ალექსანდრე კალანდაძე, თორნიკე ჯანგიძე, სტეფენ ბიტოკი, ლევან ხარაბაძე, სანდრო გაფრინდაშვილი;

ნახევარმცველები: გიორგი პაპავა, ნოდარ ლომინაძე, დმიტრი ანტილევსკი, გიორგი მოისწრაფიშვილი, თორნიკე მორჩილაძე, თორნიკე კირკიტაძე, ანზორ მექვაბიშვილი, გიორგი გვიშიანი;

თავდამსხმელები: დავით სხირტლაძე, სტანისლავ ბილენკი, ჯადული იობაშვილი, გიორგი გაბედავა.

დინამოს ლეგიონერები – ანდრეს პრიეტო, ბარნს ოსეი და ახალწვეული უსმანე კამარა – ამ კვირიდან შეუერთდებიან.

თბილისური კლუბი ახალი სეზონისთვის მზადებას 22 იანვრიდან თურქეთში განაგრძობს. შეკრება ბელეკში 2 ნაწილად არის გაყოფილი: 22 იანვრიდან 2 თებერვლამდე და 5 თებერვლიდან 16 თებერვლამდე. ამ პერიოდშიც დედაქალაქელები 8 ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ.

26 იანვარს დინამო უკრაინის პრემიერლიგელ ლვოვს გაეჯიბრება; 29 იანვარს სპარინგ მეტოქეობას სერბული სუპერლიგის მეხუთეადგილოსანი კრუშევაცის ნაპრედაკი გაუწევს; ხოლო 1 თებერვალს დინამო ბულგარეთის ჩემპიონს და მიმდინარე გათამაშების ლიდერს, რაზგრადის ლუდოგორეცს შეხვდება; 2 თებერვალს, შეკრების პირველ ეტაპს უკრაინის პერშა ლიგის ლიდერ ხარკოვის მეტალისტთან ამხანაგური მატჩით დაასრულებს.

თურქული შეკრების მე-2 ნაწილი ასევე ბელეკშია დაგეგმილი: 8 თებერვალს დინამო უკრაინის ჩემპიონ დინამო კიევს შეხვდება; 10 თებერვალს თბილისელების მეტოქე რუსეთის პრემიერლიგის მეორეადგილოსანი დინამო მოსკოვი იქნება; მომდევნო დღეს გუნდი დანიური სუპერლიგის მეხუთეადგილოსან რანდერსს შეხვდება; ხოლო შეკრებას კახა ცხადაძის კრებული 15 თებერვალს, უზბეკეთის ჩემპიონ ტაშკენტის ფახთაქორთან მატჩით დაასრულებს.

შედეგები

16 თებერვალი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

პერუ-პანამა 1:1
კოლუმბია-ჰონდურასი 2:1

აფრიკის ეთა თასი

გამბია-მალი 1:1
კოტ დივუარი-სიერა ლეონე 2:2
ტუნისი-მავრიტანია 4:0
ალჟირი-ეკ.გვინეა 0:1

ინგლისი. ჩემპიონატი

ვესტ ჰემი-ლიდსი 2:3
ლივერპული-ბრენტფორდი 3:0

სატუნირო ცხრილი:

1.სიტი	22	18	2	2	54-13	56
2.ლივერპული	21	13	6	2	55-18	45
3.ჩელსი	22	12	7	3	45-17	43
4.ვესტ ჰემი	22	11	4	7	41-30	37
5.არსენალი	20	11	2	7	33-25	35
6.ტოტენჰემი	18	10	3	5	23-20	33
7.მანჩესტერი	20	9	5	6	32-29	32
8.ვულვზი	20	9	4	7	17-15	31
9.ბრაიტონი	20	6	10	4	21-21	28
10.ლესტერი	18	7	4	7	31-33	25
11.კრ.პალასი	21	5	9	7	30-31	24
12.საუთჰემპტონი	21	5	9	7	25-33	24
13.ასტონ ვილა	20	7	2	11	27-32	23
14.ბრენტფორდი	21	6	5	10	24-33	23
15.ლიდსი	20	5	7	8	24-39	22
16.ევერტონი	19	5	4	10	24-34	19
17.უოტფორდი	19	4	2	13	23-37	14
18.ნორვიჩი	21	3	4	14	10-45	13
19.ნიუკასლი	20	1	9	10	20-43	12
20.ბარნლი	17	1	8	8	16-27	11

ინგლისი. ჩემპიონიგა

ჰალი-სტოკი 0:2

გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-აინტრახტი 1:1
არმინია-ფიურტი 2:2

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	19	15	1	3	61-18	46
2.დორტმუნდი	19	13	1	5	49-29	40
3.ლევერკუზენი	19	9	5	5	44-31	32
4.ჰოფენჰაიმი	19	9	4	6	39-29	31
5.უნიონი	19	8	7	4	27-24	31
6.ფრაიბურგი	19	8	6	5	31-23	30
7.ლაიფციგი	19	8	4	7	36-23	28
8.აინტრახტი	19	7	7	5	30-28	28
9.კოლნი	19	7	7	5	30-32	28
10.მაინცი	19	8	3	8	27-21	27
11.ბოხუმი	19	7	2	10	17-27	23
12.გლადბახი	19	6	4	9	25-35	22
13.ჰერტა	19	6	4	9	21-38	22
14.ვოლფსბურგი	19	6	3	10	17-30	21
15.აუგსბურგი	19	4	7	8	19-30	19
16.არმინია	19	3	9	7	18-26	18
17.შტუტგარტი	19	4	6	9	22-33	18
18.ფიურტი	18	1	3	14	13-49	6

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ზანდჰაუზენი-რეგენსბურგი 0:3
ჰაიდენჰაიმი-ინგოლშტადი 2:1
შალკე-კილი 1:1

ესპანეთი. ჰიმეხა დივიზიონი

ელჩე-ვილიარეალი 1:0

სატუნირო ცხრილი:

1.რეალი	21	15	4	2	45-18	49
2.სევილია	20	13	5	2	31-13	44
3.ბეტისი	20	10	4	6	33-24	34
4.სოსიედადი	20	9	6	5	22-21	33
5.ატლეტიკო	20	9	6	5	33-24	33
6.ბარსელონა	20	8	8	4	31-23	32
7.რაიო	20	9	4	7	27-21	31
8.ვილიარეალი	21	7	8	6	33-23	29
9.ბილბაო	21	6	10	5	20-17	28
10.ვალენსია	20	7	7	6	32-32	28
11.ესპანიოლი	20	7	5	8	23-24	26
12.ოსასუნა	20	6	7	7	20-25	25
13.გრანადა	20	5	9	6	24-27	24
14.სელტა	20	6	5	9	22-23	23
15.ელჩე	21	5	7	9	21-28	22
16.მალიორკა	20	4	8	8	17-30	20
17.ხეტაფე	20	4	6	10	13-21	18
18.ალავესი	20	4	5	11	16-30	17
19.კადისი	20	2	8	10	15-34	14
20.ლევანტე	20	1	8	11	21-41	11

ესპანეთი. სუპერთასი

ფინალი

რეალი-ბილბაო 2:0

იტალია. სერია ა

სასუოლო-ვერონა 2:4
ვენეცია-ემპოლი 1:1
რომა-კალიარი 1:0
ატალანტა-ინტერი 0:0

სატუნირო ცხრილი:

1.ინტერი	21	15	5	1	51-16	50
2.მილანი	21	15	3	3	46-23	48
3.ნაპოლი	21	13	4	4	37-15	43
4.ატალანტა	21	12	6	3	44-26	42
5.იუვენტუსი	22	12	5	5	34-21	41
6.ლაციო	22	10	5	7	46-39	35
7.რომა	22	11	2	9	36-28	35
8.ფიორენტინა	20	10	2	8	34-29	32
9.ტორინო	21	9	4	8	29-20	31
10.ვერონა	22	8	6	8	41-37	30
11.ემპოლი	22	8	5	9	35-43	29
12.სასუოლო	22	7	7	8	38-37	28
13.ბოლონია	20	8	3	9	28-33	27
14.უდინეზე	20	4	8	8	28-36	20
15.სამდორია	22	5	5	12	29-40	20
16.სპეცია	21	5	4	12	21-41	19
17.ვენეცია	21	4	6	11	19-38	18
18.კალიარი	22	3	7	12	21-43	16
19.ჯენოა	21	1	9	11	20-39	12
20.სალერნიტანა	20	3	2	15	13-46	11

იტალია. სერია ბ

მონცა-პერუჯა 2:2
პორდენონე-ლეჩე 0:1
სპალი-ბენევენტო 1:1

საფრანგეთი. ლიგა 1

რენი-ბორდო 6:0
ლორიანი-ანჟე 0:0
მონაკო-კლერმონი 4:0
რეიმსი-მეცი 0:1
სტრასბური-მონპელიე 3:1
ტრუა-ლიონი 0:1
მარსელი-ლილი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	21	15	5	1	42-18	50
2.ნიცა	21	12	4	5	34-18	39
3.მარსელი	20	10	7	3	28-16	37
4.რენი	21	10	4	7	40-19	34
5.მონაკო	21	9	6	6	33-23	33
6.ლანსი	21	9	6	6	36-29	33
7.სტრასბური	20	9	5	6	39-25	32
8.მონპელიე	20	9	4	7	34-27	31
9.ნანტი	21	8	5	8	26-25	29
10.ლილი	20	7	8	5	27-27	29
11.ლიონი	20	7	8	5	28-27	28
12.ანჟე	20	6	8	6	26-27	26
13.ბრესტი	21	6	7	8	26-33	25
14.რეიმსი	21	5	9	7	22-23	24
15.კლერმონი	20	4	7	9	20-32	19
16.მეცი	21	4	7	10	24-41	19
17.ტრუა	20	4	5	11	18-29	17
18.ბორდო	21	3	8	10	30-50	17
19.ლორიანი	20	3	8	9	15-31	17
20.სტ.ეტიენი	20	2	6	12	18-42	12

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

უტრეხტი-აიაქსი 0:3
გრონინგენი-პსვ 0:1
კამბური-სპარტა 1:1
სიტარდი-ალკმაარი 1:2

პორტუგალია. ჰიმეხა ლიგა

სანტა კლარა-ტონდელა 2:2
ვიზელა-სპორტინგი 0:2
ფამილიკაო-ფერეირა 0:0
ბელენენსეში-პორტუ 1:4

ბელგია. ა დივიზიონი

ანტვერპენი-შარლერუა 3:0
ეუპენი-სერკლი 0:2
ანდერლეხტი-სტანდარდი 1:1
გენკი-ბეერსხოტი 4:1

თურქეთი. სუპერლიგა

ალთაი-ალანია 0:2
გირესუნი-ქაშიმფაშა 0:2
ჰატაი-გალათასარაი 4:2

ჰატაის მესამე და მეოთხე გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა

საბერძნეთი. სუპერლიგა

აეკი-პანეთოლიკოსი 1:2
პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი 0:0
იანინა-ატრომიტოსი 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მონარქის ტიტული სპარსეთში; 2. მარგალიტების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი იაპონიაში; 3. ვენესუელას დედაქალაქი; 4. ნაბიჯი ბალეტში; 5. სოფი ლორენის ნამდვილი გვარი; 6. ჯავახური პური; 7. სახელმწიფოს ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 10. ფრანგი მოქანდაკე ქალი; 11. ხელმომჭირნე ძუნწი ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 12. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 13. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 16. აეროპორტი ტოკიოში; 18. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 19. მონასტერი ხულოს რაიონში; 21. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა ჯგუფი; 24. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი.

თარაზულად: 1. თხელი, დაბეგვილი ხორცის ნაჭრისგან მომზადებული კატლეტი; 3. მაღალზურგიანი დივანი; 8. უზენაესი სასამართლო თურქეთში; 9. გვერდითი დარტყმა კრივში; 14. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 15. საკონტაქტო სადენიდან დენის მიმღები მოწყობილობა ტრამვაიზე, ტროლეიბუსში; 17. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში; 20. მოძრავი სკამი სპორტულ ნავში; 22. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 23. ესპანური წესით დამზადებული შაშხი; 25. დედამიწის მანათობელი; 26. უმსხვილესი შვედური სამრეწველო კონცერნი; 27. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 28. რეცეპტის პირი, რომელიც თან ახლავს გაცემულ წამალს.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბურგასი; 2. ალეგრი; 3. გარიბალდი; 4. ღვინიო; 5. გორდონსი; 7. არნო; 11. ბაიყუში; 13. დესპანი; 15. ტვიში; 16. გენტი; 18. ამანი. 19. რევიუ.

თარაზულად: 6. ურვაჟი; 8. სლოგანი; 9. როიტერი; 10. აპლომბი; 12. ციცქა; 14. ბორანო; 17. დისპაშერი; 20. ლაუდერი; 21. უშქარი; 22. ნუნისი; 23. ბილტმორი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პეჟო; 2. აია; 3. კალაჰარი; 4. რა; 5. ჩანტლაძე; 6. კინო; 7. ბოქსიტი; 10. ლეკი; 11. ბუდაპეშტი; 12. ჯაბახანა; 13. კედი; 16. არემჯი; 18. ბაგრატი; 19. ჩხოუში; 21. დათვი; 24. ლაციო.

თარაზულად: 1. პუბლიკა; 3. კაჰორი; 8. დარიკო; 9. ჟოლო; 14. რკინა; 15. ქემელი; 17. ბანა; 20. რაპიდი; 22. ძმარი; 23. ხახული; 25. წრე; 26. მუდო; 27. ბრნო; 28. ცურტაველი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0811

ევრო — 3.5183

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2162

100 რუსული რუბლი — 4.0213

ამინდის პროგნოზი 18 იანვრისათვის



მანჩესტერ იუნაიტედს სერხიო არაუხოს ყიდვა მოუნდა

მანჩესტერ იუნაიტედი ბარსელონას ცენტრალური მცველის სერხიო არაუხოს ყიდვას აპირებს და მზად არის, ამ ტრანსფერში სოლიდური თანხაც გადაიხადოს, თუ ბარსელონა დათანხმდება, მაგრამ კატალონიელები არაუხოს გაყიდვას არ აპირებენ, რადგან ხავი მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

არაუხომ ასევე განაცხადა ერთერთ ინტერვიუში, რომ მას ბარსელონას დატოვება არ სურს.

არტურ მელო შესაძლოა არსენალში გადავიდეს



ტურინის იუვენტუსის ბრაზილიელი ნახევარმცველი არტურ მელო შესაძლოა მალე არსენალში აღმოჩნდეს. იუვენტუსში მისი თამაშით კმაყოფილები არ არიან და მის გაყიდვაზეც ფიქრობენ, არსენალი კი მზად არის, რომ ამ ტრანსფერში 20 მილიონი გადაიხადოს.

იუვენტუსი, სავარაუდოდ, ამ თანხას დათანხმდება, რადგან უფრო მეტს არტურში არავინ გადაიხდის.

ხავი: „ბარსელონას თამაშში პროგრესი იგრძნობა“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა თავისი გუნდის თამაშზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ პროგრესი აქვთ, მაგრამ ჯერ იდეალური თამაშისგან ბარსელონა შორს არის:

– მომწონს ის, თუ როგორ ირჯება ჩემი გუნდი, მაგრამ ჯერ ბევრი რამ უნდა გამოვასწოროთ, თუ გვინდა, რომ დასახულ მიზნებს მივაღწიოთ. ბარსელონას განვითარება ყოველთვის სჭირდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მეგობრებმა ნიანგისგან მოლუსკების შემგროვებელი პენსიონერი გადაარჩინეს

მალაიზიაში მდინარე სილაბუკანის სანაპიროზე ხანდაზმულმა მამაკაცმა მოლუსკების შეგროვების დროს ნიანგის თავდასხმის შედეგად ტრავმები მიიღო. საღამოს 70 წლის მამაკაცი მდინარის სანაპიროზე მეუღლესთან და ხუთ ახლობელთან ერთად სეირნობდა. ისინი მოლუსკების შეგროვებით იყვნენ დაკავებულები. მოულოდნელად პენსიონერ მამაკაცს თავს ნიანგი დაესხა, ფეხზე უკბინა და წყლის სიღრმეში ჩათრევას შეეცადა. მამაკაცს დაუყოვნებლივ მიეხმარნენ მეგობრები და ის რეპტილიას გამოსტაცეს.

– მისი მეგობრების სწრაფმა რეაქციამ, რომლებიც რეპტილიას თავში ურტყამდნენ, გადაარჩინა მამაკაცი. პენსიონერმა ფეხებზე, მარჯვენა ხელსა და მუცელზე ტრავმები მიიღო, – განაცხადა საოლქო პოლიციის უფროსმა როხან შახ ახმადმა.

დაშავებული პენსიონერი საავადმყოფოში მოათავსეს, ხოლო პოლიციის წარმომადგენელმა ადგილობრივებს მოუწოდა, მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ მდინარის პირას სეირნობის დროს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

18 იანვრისათვის

ვერძი – მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. პასუხისმგებლობას ნუ გაექცევით. **კურო** – შემოსავალი საგრძნობლად გეზრდებათ. შრომა გიფასდებათ. ბედს არ ემდურით. **ტყუპები** – აგრესიულობა და თავშეუკავებლობა მატერიალურად დაგაზარალებთ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნუ გამოჩნდებით. **კირჩხიბი** – მეგობრებისგან დახმარება გჭირდებათ. თავს ზედმეტად ნუ დაიფასებთ. **ლომი** – ინფორმაციის არასათანადო შეფასება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას სიფხიზლე გმართებთ. პატარა შეცდომაც კი სავალალო იქნება. **სასწორი** – ფასეულობების გადაფასების დროა. ახალი იდეების განხორციელება მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. **ღრიანცალი** – სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. ენერგიულობისა და ოპტიმიზმის წყალობით საქმეებს თავს წარმატებით გაართმევთ. **მშვილდოსანი** – ახალგაცნობილ ადამიანებს გულისნადებს ნუ გაუმხელთ. იკვებეთ ჯანსაღად. **თხის რქა** – საყვარელ ადამიანს გულს ნუ ატკენთ. თავქარიანობა და ფუქსავატობა საქმეს გაგიფუჭებთ. **მერწყული** – საქმე დიდი ყურადღებით აკეთეთ. გაითვალისწინეთ გარშემომყოფთა ინტერესებიც. **თევზები** – ოცნების კოშკებს ნუ ააგებთ. რეალური საქმით დაკავდით. ჯანმრთელობას მიხედეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

...

ქალი ექიმს მეტად შეწუხებული სახით ეკითხება:

– ექიმო, ექიმო, როგორაა?

– მძიმე მდგომარეობაშია, მას მოტეხილობების გარდა ინფარქტიც აქვს!

– შეიძლება, რომ დაველაპარაკო?

– სამწუხაროდ, ეგ შეუძლებელია. თუ მისთვის რაიმეს თქმა გსურთ, მითხარით და მე გადავცემ!

– კარგით, მაშინ ჰკითხეთ, მანქანის მართვის მოწმობის გამოცდა ჩავაბარე?

...

უმშვენიერესი ქალი ექიმს შესჩივის:

– იცით რაშია საქმე ექიმო, რაღაც მეხსიერების საქმე მაქვს ცუდად.

– მაინც რა ხდება?

– რა და ყველაფერი, რაც თავს გადამხდება, ხუთი წუთის შემდეგ აღარ მახსოვს.

– ჰოო! ეს სერიოზულია, მეტად სერიოზული. კარგი, მაშინ გაიხადეთ და აი ამ ტახტზე დაწექით...

...

პოლიციელი მანქანას აჩერებს. მივიდა მძღოლის მხარეს ფანჯარასთან და როგორც კი მძღოლმა ფანჯრის მინა ჩაუწია, ხელკეტი თავში უთავაზა.

– რისთვის?! – ეკითხება გაოგნებული მძღოლი.

– როდესაც მანქანასთან მოვდივარ, საბუთები უკვე გამზადებული უნდა გქონდეს, გასაგებია?!

– გასაგებია.

პოლიციელმა საბუთები გამოართვა, მანქანას მეორე მხრიდან მოუარა და მგზავრის მხარეს ფანჯარაზე მიუკაკუნა. როგორც კი მგზავრმა მინა ჩაუწია, მასაც თავში ჩასცხო.

– მე რიღასთვის?!

– ეს იმისთვის, რომ როდესაც გაგიშვებთ, მერე რომ არ თქვა, რომ „აბა ერთი ჩემთვის გაებედა!“

...

ღია ცის ქვეშ გამართული კონცერტის შემდეგ დირიჟორი კმაყოფილი სახით მიმართავს ორკესტრს:

– ისე, როგორც დღეს, ასე მხურვალედ მსმენელს ტაში არასოდეს დაუკრავს ჩვენთვის.

ამ დროს ერთ-ერთი მუსიკოსი პასუხობს:

– მაესტრო, ძალიანაც თავში ნუ აგივარდებათ, ისინი კოღოებს იგერიებდნენ.

...

ტელეფონის ზარია:

– ალო, ეს თქვენ ებრძვით ალკოჰოლიზმს?

– არა, უკვე დავნებდით...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანრი ჯოხაძემ და ტინა კაროლმა დუეტი ჩაწერეს

მომღერალმა ანრი ჯოხაძემ უკრაინელ ვარსკვლავთან ტინა კაროლთან დუეტი ჩაწერა.

ქართულ-ინგლისურენოვანი სიმღერა „ისევ მოხვალ“ წყვილმა „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფინალურ საკონკურსო ტურზე იმღერა და ჟიურის, წამყვანებისა და მსმენელების დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ტინა კაროლი „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეათე საიუბილეო სეზონისთვის სპეციალურად ჩამოვიდა საქართველოში.

შოუს პროდიუსერმა ნოე სულაბერიძემ მომღერალი პროექტისთვის საგანგებოდ მოიწვია.

ოთარ მეღვინეთუხუცესი 90 წლის გახდებოდა

ქართული თეატრისა და კინოს გამორჩეული მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი 90 წლის გახდებოდა.

ხელოვანმა მთელი თავისი ცხოვრება მეუღლესთან გურანდა გაბუნიასთან ერთად ქართულ კულტურას მიუძღვნა და თეატრსა და კინოში დაუვიწყარი გმირები განასახიერა.

მისი ნიჭიერება ცნობილი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი რამდენიმე წელი რუსთავის თეატრში მოღვაწეობდა, მოგვიანებით კი ისევ მარჯანიშვილის თეატრში დაბრუნდა და სიცოცხლის ბოლომდე ამ თეატრში თამაშობდა.

მსახიობობას ხელი არ შეუშლია მისთვის, ამავე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ყოფილიყო.

მაყურებლისთვის ნამდვილად რთულია დაასახელოს ერთი განსაკუთრებული როლი ოთარ მეღვინეთუხუცესის შემოქმედებიდან როგორც თეატრში, ასევე კინოში, თუმცა თეატრალური როლებიდან მაინც ყველაზე მეტად ოიდიპოსია მის სავიზიტო ბარათად მიჩნეულია, კინო როლებიდან კი – დათა თუთაშხია.

ოთარ მეღვინეთუხუცესს მინიჭებული აქვს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, ღირსების ორდენი, საქართველოს სახელმწიფო პრემია, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია.

მსახიობი 81 წლის ასაკში გარდაიცვალა.

იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

რუსთაველის თეატრმა სპექტაკლი მოხსნა

რუსთაველის ეროვნულმა თეატრმა სპექტაკლი „დაკანონებული უკანონობა“ მოხსნა. ამის მიზეზი მსახიობ ნიკა ქაცარიძის გარდაცვალებაა:

– 23 იანვარს დაგეგმილი სპექტაკლი „დაკანონებული უკანონობა“ მოხსნილია, მოგეხსენებათ, სპექტაკლში შეიხის როლს თამაშობდა მსახიობი ნიკოლოზ ქაცარიძე.... მისი გარდაცვალება უდიდესი ტკივილი და დანაკლისია ჩვენი თეატრისთვის.

სპექტაკლი 6 თებერვალს დაბრუნდება მიმდინარე რეპერტუარში.

თეატრის სალაროში შეძენილი ბილეთები შეგიძლიათ დააბრუნოთ. ბილეთები.ჯი-ზე შეძენილი ბილეთების თანხა კი ავტომატურად დაგიბრუნდებათ ანგარიშზე, – ნათქვამია რუსთაველის თეატრის განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პრინც ენდრიუს „მისი სამეფო უდიდებულესობის“ წოდება ჩამოერთვა

პრინც ენდრიუს, რომელსაც პედოფილია ედება ბრალად, „მის სამეფო უდიდებულესობად“ აღარ მოიხსენიებენ. დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის ეს გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ იორკის ჰერცოგს მთლიანად ჩამოაცილებენ სამეფო სასახლის ცხოვრებას.

ასევე აღსანიშნავია, რომ პრინც ენდრიუს ყველა სხვა მოვალეობა სამეფო ოჯახის სხვა წევრებზე გადანაწილდება. სასამართლოში დედოფალ ელისაბედ II-ის შვილს კერძო პირის სტატუსით მოუწევს წარდგომა.

იორკის ჰერცოგისთვის ტიტულების ჩამორთმევა, რომელიც პრინცმა ჩარლზმა და პრინცმა უილიამმა მოითხოვეს, სამეფო ოჯახის გადარჩენისკენაა მოწოდებული.

დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის შვილი ენდრიუ ეჭვმიტანილია ვირჯინია რობერტს-დუფრეზე სექსუალურ ძალადობაში. როგორც ის ამტკიცებს, 2001 წელს, როდესაც 17 წლის იყო, ამერიკელმა ფინანსისტმა და ჰერცოგის მეგობარმა ჯეფრი ეპშტეინმა სამჯერ აიძულა, პრინცთან სექსით დაკავებულიყო.

სასამართლომ დუფრეს სამოქალაქო სარჩელი დააკმაყოფილა და ენდრიუს ფიცის ქვეშ ჩვენების მიცემა დააკისრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოხვოხდი ›



შვეულად: 1. სამართალდამცავი, ადმინისტრაციული ორგანო; 2. მდინარე ტოკიოში; 3. შემინული აივანი; 4. რუსი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. რაიმეს ნაირსახეობა; 7. შაქრის ლერწმისგან დამზადებული არაყი; 11. კუთხე საქართველოში; 13. ქართველი პრიმა-ბალერინა; 15. განსაზღვრული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 16. ქართველი უფოლოგი; 18. სოფელი სიღნაღის რაიონში; 19. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 6. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 8. ქართული სანადიმო სიმღერა; 9. ამერიკელი მეცნიერი, რომელსაც ორჯერ მიენიჭა ნობელის პრემია ქიმიის დარგში; 10. თავხედური გულახდილობა; 12. სხვაობა ფასიანი ქაღალდების საყიდ და გასაყიდ ფასებს შორის; 14. უძველესი ქართული ხალხური სიმღერიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. ერთკუზიანი აქლემი; 20. უძველესი ქართული ხალხური თამაში, სანახაობითი წარმოდგენა; 21. სივრცე სახლის სახურავსა და ჭერს შორის; 22. პოლონეთში მოასპარეზე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 23. ესტრადის მომღერალთა სახელწოდება საფრანგეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა